შპს მაგთიკომის ფიქსირებულ ქსელთან სავალდებულო დაშვების და საბითუმო მომსახურების შეთავაზების წინადადება („ოფერტა“)

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმა

1 შინაარსი

1 შინაარსი 2
2 შესავალი 4
3 საგანი და ზოგადი პრინციპები 5
4 ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა 7
5 „მაგთიკომის“ ვალდებულებები 7
6 „დაშვების მსურველის“ ვალდებულებები 7
7 „მომსახურება“ 8
8 დარიცხვა VULA მომსახურებაზე 9
9 კონფიდენციალობა და გამჟღავნება 9
10 საცალო მომხმარებლების მართვა 12
11 ექსკლუზიური შესყიდვის დაუშვებლობა 16
12 ანგარიშის წარდგენა და ანგარიშსწორება 16
13 ანგარიშსწორების წესი 16
14 „უზრუნველყოფის თანხა“ 17
15 პერსონალის უსაფრთხოება და ქსელის დაცვა 20
16 შეჩერება 23
17 შეჩერების შედეგები 26
18 შეწყვეტა 26
19 მომხმარებლების მიგრაცია 28
20 შეწყვეტის შედეგები 28
21 ინტელექტუალური საკუთრების უფლებები 30
22 დავების გადაწყვეტა 31
23 განხილვა 32
24 ფორს-მაჟორი 35
25 გარანტიები 36
26 პასუხისმგებლობა 39
27 ზიანის ანაზღაურების გარანტიები 42
28 დაზღვევა 43
29 გადაცემა და ჩანაცვლება 43
30 ქვეკონტრაქტორების გამოყენება 44

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმა

31 შეტყობინებები....44
32 მთლიანი ხელშეკრულება....44
33 ძალაში დარჩენა და შერწყმა....45
34 ერთობლივი საწარმო....45
35 უარის თქმა....45
36 თანხმობები და ნებართვები....45
37 მესამე მხარეთა უფლებები....46
38 ეგზემპლარები....46
39 პერსონალური მონაცემები....46
40 კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებები და საკანონმდელო მოთხოვნების შესრულება....47
41 უფლებების კრებითობა....48
42 ცვლილებები....48
43 ხელშეკრულების დებულებების ავტონომიურობა....48
44 მარეგულირებელი სამართალი....48
45 იურისდიქცია....48

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმა

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 20... წლის ... .-ს

შემდეგ მხარეებს შორის:

შპს „მაგთიკომი,“ რეგისტრირებული საქართველოში კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომრით 204876606, რომლის იურიდიული მისამართია თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. 7ა, შემდგომში - „მაგთიკომი“ ან „დაშვების მიმწოდებელი“

და

[სხვა ლიცენზირებული ოპერატორის სახელწოდება], რეგისტრირებული საქართველოში კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომრით [OLO კომპანიის ნომერი], რომლის იურიდიული მისამართია [OLO-ის მისამართი], შემდგომში - „სხვა ლიცენზირებული ოპერატორი“, „OLO“, ან „დაშვების მსურველი.“

2 შესავალი

2.1 პრეამბულა

ვინაიდან:

A. „მაგთიკომი“ არის ფიქსირებული და მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი და ფლობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მისთვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქათველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გაცემულ მოქმედ ავტორიზაციას საქართველოს ტერიტორიაზე საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებაზე;

B. „დაშვების მსურველი“ არის _მომსახურების მიმწოდებელი და ფლობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მისთვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქათველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გაცემულ მოქმედ ავტორიზაციას ლიცენზიას საქართველოს ტერიტორიაზე საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებაზე;

C. „მაგთიკომი“ „კომისიის“ მიჩნეულია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ და „კომისიის“ 2024 წლის 8 აგვისტოს მიღებული N

გ-24-9/361 გადაწყვეტილებით „მაგთიკომს“ დაკისრებული აქვს სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, გამოაქვეყნოს „ოფერტა“;

D. „მაგთიკომმა“, „დაშვების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით“ დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულების შესრულების მიზნით, გამოაქვეყნა „ოფერტა“;

E. „კომისიის“ „დაშვების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით“, „მაგთიკომი“ ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება დაშვებაზე იმ პირთან, რომელიც აკმაყოფილებს „ოფერტით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

F. დაშვების მოთხოვნა „დაშვების მსურველის“ მიერ წარმოდგენილია „მაგთიკომის“ „ოფერტით“ განსაზღვრული პროცედურებისა და „კანონისა“ და მასთან დაკავშირებული რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად;

G. „კანონით“ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად, „დაშვების მსურველის“ მოთხოვნას „მაგთიკომმა“ პასუხი გასცა „კანონითა“ და მასთან დაკავშირებული რეგულაციების დადგენილი პირობების შესაბამისად;

H. „დაშვების მსურველი“ ადასტურებს, რომ აკმაყოფილებს „ოფერტით“ გათვალისწინებული პირობებს და აქვს შესაძლებლობა შეასრულოს „ოფერტით“ და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები;

I. „დაშვების მსურველი“ გაეცნო „ოფერტას“ და განაცხადა უპირობო აქცეპტს მისი ყველა პირობის მიმართ;

J. „მხარეებმა“ „ოფერტის“ პირობების შესაბამისად, „ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით დაიწყეს მოლაპარაკებების პროცესი

K. „ხელშეკრულებაში“ განსაზღვრულია ის ორმხრივად შეთანხმებული პირობები, რომლებითაც „დაშვების მიმწოდებლის“ მიერ ტექნიკური საშუალებები და მომსახურებები „დაშვების მსურველს“ მიეწოდება საქართველოში „სატელეკომუნიკაციო მომსახურებების“ მიწოდებაზე მათი შესაბამისი ნებართვების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მხარეები“ თანახმა არიან მასზედ, რომ წინამდებარე „ხელშეკრულება“ გააფორმონ „მაგთიკომის“ გამოქვეყნებული „ოფერტის“ შემადგენელი დოკუმენტების საფუძველზე და რომ „მხარეთა“ შორის ურთიერთობები დარეგულირდება ამავე „ხელშეკრულების“ პირობებით.

3 საგანი და ზოგადი პრინციპები

3.1 „ხელშეკრულების“ საგანი, თუ ამავე „ხელშეკრულებაში“ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, შემოიფარგლება მხოლოდ „რეგულირებული ტექნიკური საშუალებების ან/და მომსახურებების“ მიწოდებით.

3.2 გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, „ხელშეკრულება“ ვრცელდება მხოლოდ „მაგთიკომის“ მიერ „დაშვების მსურველისთვის“ „ტექნიკური საშუალებების“ ან/და მომსახურებების“ მიწოდებაზე და არ განიმარტება ისე, თითქოს მესამე პირებს რაიმე სარგებელს ანიჭებდეს.

3.3 „მაგთიკომი“ პასუხს არ აგებს „მაგთიკომის“ „ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების ქსელისა“ და „მომსახურებების“ მიწოდებაში გამოყენებული სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით გადაცემული კომუნიკაციების ქონთენთზე.

3.4 ყველა ის მოწყობილობა, ქსელის ელემენტი და სხვა ინფრასტრუქტურა, რომლებიც „მაგთიკომს“ ეკუთვნის ან „მაგთიკომის“ მიერ ან „მაგთიკომის“ სახელით არის დამონტაჟებული თუ აშენებული იმისათვის, რომ „მაგთიკომისთვის“ შესაძლებელი იყოს „მომსახურებების“ მიწოდება, ყოველთვის „მაგთიკომის“ სრულ საკუთრებაში დარჩება.

3.5 „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს „მომსახურება,“ მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ „მაგთიკომის“ ქსელის რაიმე შეფერხება გამოწვეულია „დაშვების მსურველის“ მიერ ან „დაშვების მსურველის“ სახელით მომუშავე სხვა სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად.

3.6 „ხელშეკრულების“ გაფორმების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „კომისიის“ მიერ „მაგთიკომისთვის“ დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებები, როგორც ეს მითითებულია პრეამბულა, შესაბამისად მისი გაფორმება წარმოადგენს არა „მაგთიკომის“ სურვილს, არამედ „მაგთიკომის“ მხრიდან „კომისიის“ მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.

3.7 „დაშვების მსურველი“ „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით, ადასტურებს რომ მისთვის ცნობილია სასამართლო დავის მიმდინარეობის თაობაზე, სადაც მოსარჩელე არის „მაგთიკომი“ და მოთხოვნილი აქვს პრეამბულაში მითითებული „კომისიის“ გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების ნაწილში. შესაბამისად, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, „ხელშეკრულების“/“ოფერტის“ პირობები გადაიხედება და შეიცვლება, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ამასთან, სპეციფიკური ვალდებულებების გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილი იქნება შეცვალოს ან შეწყვიტოს „ხელშეკრულების“/“ოფერტის“ მოქმედება. ამდენად, „დაშვების მსურველი“ ადასტურებს და ეთანხმება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლოს შეიცვალოს მომსახურების საფასური და ამ შემთხვევაში განხორციელდება „ხელშეკრულების“ საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის გადაანგარიშება მომსახურების დაწყების დღიდან.

4 ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის ამავე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის დღეს და ძალაში დარჩება აღნიშნული დღიდან _____ ვადით, თუ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით არ შეწყდება.

4.2 „ხელშეკრულება“ არ გრძელდება ავტომატურად და მისი მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 90 დღით ნებისმიერ „მხარეს“ აქვს უფლება წამოიწყოს მოლაპარაკება „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე. თუ არც ერთი „მხარე“ არ გამოხატავს სურვილს „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე, „ხელშეკრულება“ შეწყდება მისი მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.

5 „მაგთიკომის“ ვალდებულებები

5.1 „მაგთიკომი“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ „მომსახურებებსა“ და „ტექნიკურ საშუალებებს“ „დაშვების მსურველს“ მიაწვდის წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად. „მომსახურებისა“ მიწოდება მოხდება წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად და „ოფერტის“ შემადგენელ სხვადასხვა დოკუმენტში განსაზღვრული პირობების და ფასების მიხედვით.

5.2 „მაგთიკომი“ ეცდება გამოიყენოს ყველა გონივრული რესურსი და უნარ-ჩვევა იმისათვის, რომ „დაშვების მსურველს“ „მომსახურება“ მიაწოდოს არადისკრიმინაციულად. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ დისკრიმინაციას არ წარმოადგენს შემთხვევა, თუ „დაშვების მსურველი“ ტექნიკურად ვერ უზრუნველყოფს ან არ შეიძენს იმ ყველა იმ „მომსახურებას“ „მაგთიკომისაგან“, რომელიც მიეწოდება „მაგთიკომის“ „ბოლო მომხმარებლებს“.

5.3 „მაგთიკომი“ „დაშვების მსურველს“ მიანიჭებს არაექსკლუზიურ და არაგადაპირებად უფლებას „მომსახურება“ გამოიყენოს მხოლოდ იმ მიზნით, რომ „დაშვების მსურველმა“ საკუთარ „ბოლო მომხმარებელს“ მიაწოდოს ფართოზოლოვანი კავშირი წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

6 „დაშვების მსურველის“ ვალდებულებები

6.1 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია, „მაგთიკომისგან“ დამოუკიდებლად, მართოს თავის „ბოლო მომხმარებლებთან“ ურთიერთობის ყველა ასპექტი და სრულად პასუხისმგებელი იქნება „ბოლო მომხმარებლების“ ყველა მოთხოვნაზე, მათ შორის და არა მხოლოდ, პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნებზე, გაუმართაობის

შეტყობინებებზე/გამოსწორებაზე, და ტექნიკურ პრობლემებსა და ანგარიშსწორებაზე, საინფორმაციო უზრუნველყოფაზე. გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, „მაგთიკომი“ არ არის ვალდებული უპასუხოს „დაშვების მსურველის“ „ბოლო მომხმარებლების“ შეკითხვებს ან/და მოაგვაროს მათი მომსახურებისა თუ ტექნიკური მხარდაჭერის საკითხები.

6.2 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიხედვით „მომსახურებების“ გამოყენება ზიანს არ მიაყენებს, ხელს არ შეუშლის და არ შეაფერხებს იმ მომსახურებებიდან რომელიმეს, რომლებიც „მაგთიკომის“ იმ ინფრასტრუქტურაში მიეწოდება, რომლებითაც ხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება.

6.3 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი „ბოლო მომხმარებლები“ უნებართვოდ არ გამოიყენებენ ან/და არ დააზიანებენ „მაგთიკომის“ მოწყობილობებს ან/და დანადგარებს და არ განახორციელებენ „მაგთიკომის“ მოწყობილობებში ან/და დანადგარებში რაიმე მხრივ ჩარევას.

6.4 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი „მომხმარებლები“ და „ბოლო მომხმარებლები“ ყოველთვის შეინარჩუნებენ მოწყობილობების არსებულ მარკირებას, მათ შორის და არა მხოლოდ, ONT-ებზე, ან დანადგარებზე არსებულ მარკირებას, რომელზეც აღნიშნულია, რომ ისინი წარმოადგენს „მაგთიკომის“ საკუთრებას.

6.5 „დაშვების მსურველი“ აღიარებს, რომ მიუხედავად „მაგთიკომის“ ძალისხმევისა და კეთილი განზრახვებისა, „მაგთიკომისთვის“ შეუძლებელია გაუმართაობისგან თავისუფალი „მომსახურების“ მიწოდება. ნებისმიერი ამგვარი გაუმართაობა დაექვემდებარება რეაგირებას და გადაწყდება მხარეთა მიერ შეთანხმებული გაუმართაობის შეტყობინებისა და გაუმართაობის გადაწყვეტის პროცედურის შესაბამისად.

7 „მომსახურება“

7.1 „ხელშეკრულების“ დანართებში განხილულია ის „მომსახურებები“ და „ტექნიკური საშუალებები,“ რომლებზე დაშვებასაც წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიხედვით იძლევა „მაგთიკომი,“ და ის კონკრეტული პირობები, რომლებითაც „მაგთიკომი“ ახორციელებს „მომსახურების“ და „ტექნიკური საშუალებების“ მიწოდებას.

7.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართში განსაზღვრულია და განხილულია ის პროცესები და პროცედურები, რომლებიც უნდა განხორციელდეს „დაშვების მსურველის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიხედვით „მომსახურებებსა“ და „ტექნიკურ

საშუალებებზე“ წვდომისთვის „შეკვეთის“ წარსადგენად, აგრეთვე ის პროცედურები, რომლებიც უკავშირდება ამგვარი „მომსახურებების“ უწყვეტ ოპერირებასა და ტექნიკურ მომსახურებას.

8 დარიცხვა VULA მომსახურებაზე

8.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ თანახმად მიწოდებულ „მომსახურებებსა“ და „ტექნიკურ საშუალებებზე“ მოქმედი ფასები არის ის ფასები, რომლებიც მოცემულია „დანართში - „მომსახურების საფასური“, რომელშიც „მაგთიკომმა“ ცვლილებები პერიოდულად შეიძლება შეიტანოს „ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ის მინიმალური ვადა, რომელშიც VULA ან Bitstream ჩართვაზე საფასურის დარიცხვა განხორციელდება, შეადგენს 12 თვეს.

8.2 თუ რომელიმე მომსახურებაზე საფასური არ არის მითითებული „ხელშეკრულებაში“ ან „დანართებში“, გავრცელდება მხარეთა მიერ შეთანხმებული საფასური. გარდა იმ შემთხვევისა, როცა სპეციალური ფასის ვადა განსაზღვრულია კონკრეტულ „დანართში,“ სპეციალურ ფასებს „მაგთიკომი“ „დაშვების მსურველს“ წარუდგენს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს სამოცი (60) სამუშაო დღისა ამგვარ ინფორმაციაზე „დაშვების მსურველის“ მოთხოვნიდან. იგულისხმება, რომ სპეციალური ფასების ნებისმიერი ამგვარი მოთხოვნა არ განიმარტება ისე, თითქოს ის „დაშვების მსურველს“ ავალდებულებდეს მოითხოვოს ის შესაბამისი მომსახურება, რომელთანაც დაკავშირებულია ასეთი სპეციალური ფასები.

9 კონფიდენციალობა და გამჟღავნება

9.1 „მიმღები მხარე“ ვალდებულია:

(a) დაიცვას ყველა „კონფიდენციალური ინფორმაციის“ კონფიდენციალობა და ის არავის გაუმჟღავნოს გარდა წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნებადართული შემთხვევებისა.

(b) ყველა „კონფიდენციალური ინფორმაცია“ გამოიყენოს მხოლოდ „შეთანხმებული მიზნისთვის;“ და

(c) არ გადაიღოს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ რომელიმე ნაწილის ასლი ან არ განახორციელოს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ რომელიმე ნაწილის სხვა რაიმე ფორმით ჩაწერა გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს მკაცრად აუცილებელია „შეთანხმებული მიზნისთვის.“

9.2 „გამმჟღავნებელი მხარე“ ვალდებულია ყველა გონივრული ზომა მიიღოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამჟღავნებული ინფორმაცია, რამდენადაც მისთვის ცნობილია, სწორია ამგვარი ინფორმაციის მიწოდების დროს.

9.3 „მიმღები მხარე“ ვალდებულია „გამმჟღავნებელი მხარე“ დაიცვას და დააზღვიოს ყველა პასუხისმგებლობისაგან, სარჩელისაგან, მოთხოვნისაგან, ზარალისაგან, ხარჯებისაგან და დანახარჯებისაგან, რომლებიც გამომდინარეობს „მიმღები მხარის“ მიერ მე-9 მუხლის დებულებებისა და იმ გონივრული პირობების შეუსრულებლობიდან, რომლებიც „გამმჟღვნებელმა მხარემ“ დაადგინა და „მიმღებ მხარეს“ შეატყობინა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების დროს.

9.4 წინამდებარე „ხელშეკრულების“ არცერთი დებულებით „მხარეს“ არ მოეთხოვება კონფიდენციალობის შესახებ კანონიერი თუ მარეგულირებელი ვალდებულების, მათ შორის, აღნიშნულის ზოგადი არსის შეზღუდვის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული რომელიმე ვალდებულების, დარღვევით რაიმეს გაკეთება.

9.5 ამ მე-9 მუხლის დებულებები არ ვრცელდება იმ ინფორმაციაზე, რომელიც:

(a) უკვე „მიმღები მხარის“ მფლობელობაშია ან „მიმღები მხარისთვის“ ცნობილია მის მიღებამდე იმ პირობით, თუ „მიმღები ხარე“ არ არის შეკრული ამგვარ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონფიდენციალობის რაიმე არსებული ვალდებულებით;

(b) არის ან ხდება საჯაროდ ხელმისაწვდომი, მაგრამ არა „მიმღები მხარის“ ბრალეულობით;

(c) „მიმღები მხარის“ მიერ მიღებულია იმ კეთილსინდისიერი „მესამე მხარისაგან,“ რომელსაც აქვს თავისუფალი უფლება განკარგოს ასეთი ინფორმაცია, და „მიმღები მხარის“ მიერ ამ მუხლის დარღვევის გარეშე;

(d) უნდა გამჟღავნდეს კომპეტენტური სასამართლოს, „მარეგულირებელი ორგანოს“ ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნით;

(e) სათანადო წესით მჟღავნდება შესაბამისი კანონიერი თუ მარეგულირებელი ვალდებულების თანახმად ან საფონდო ბირჟაზე რეგისტრაციის მისაღებად ან შესანარჩუნებლად;

(f) „მიმღები მხარის“ მიერ მჟღავნდება იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამჟღავნება წერილობით ნებადართულია თავდაპირველი „გამმჟღვნებელი მხარის“ მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

(g) დამოუკიდებლად იქმნება ან უკვე შექმნილია „მიმღები მხარის“ მიერ.

9.6 „მიმღებმა მხარემ“ „გამმჟღავნებელ მხარეს“ განზრახული გამჟღავნების დეტალები და გამჟღავნების მიზეზი უნდა შეატყობინოს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ 9.5 პუნქტის თანახმად გაჟღავნებამდე.

9.7 „გამმჟღავნებელ მხარეს“ აქვს უფლება „მიმღებ მხარეს“ შეატყობინოს, რომ მისი უფლება გამოიყენოს „კონფიდენციალური ინფორმაცია“ წყდება იმ შემთხვევაში, თუ:

(a) „გამმჟღავნებელი მხარე“ მიიჩნევს, მისი საფუძვლიანი აზრით, რომ „კონფიდენციალური ინფორმაციის“ რაიმე ნაწილი „მიმღებ მხარეს“ აღარ სჭირდება „შეთანხმებული მიზნისთვის.“

(b) „შეთანხმებული მიზანი“ აღსრულებულია ან შეწყვეტილია; და

(c) „მიმღები მხარე“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებას.“

9.8 თუ „გამმჟღავნებელი მხარე“ წარადგენს შეტყობინებას 9.7 პუნქტის თანახმად, „მიმღებმა მხარემ“ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

(a) შეწყვიტოს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ ან მისი მითითებული ნაწილის გამოყენება;

(b) „გამმჟღავნებელ მხარეს“ დაუბრუნოს მის მფლობელობაში ან გამგებლობაში ან იმ პირთა მფლობელობაში ან გამგებლობაში არსებული „გამმჟღავნებელი მხარის“ ყველა „კონფიდენციალური ინფორმაცია,“ რომლებმაც მისგან მიიღეს ინფორმაცია წინამდებარე მუხლის შესაბამისად; ან

გაანადგუროს ან წაშალოს (სიტუაციიდან გამომდინარე) „კონფიდენციალური ინფორმაცია.“

9.9 9.7 პუნქტის თანახმად, ერთი „მხარის“ „მომხმარებლების“ შესახებ მეორე „მხარის“ „ქსელში“ შექმნილი ინფორმაცია მეორე „მხარის“ მიერ „სატელეკომუნიკაციო მომსახურებების“ მიწოდების შედეგად ან მიწოდებასთან დაკავშირებით („ქსელის ინფორმაცია“) არის პირველი „მხარის“ „კონფიდენციალური ინფორმაცია“ და მე-9 მუხლის მიზნებისთვის მეორე „მხარისთვის“ გამჟღავნებულად განიხილება.

9.10 წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული კონფიდენციალობის ვალდებულებები „მხარეზე“ კვლავ გავრცელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ:

(a) „შეთანხმებული მიზანი“ აღსრულებულია ან შეწყვეტილია; და

(b) „კონფიდენციალური ინფორმაცია“ „მიმღებ მხარის“ მიერ დაბრუნებულია, განადგურებულია ან წაშლილია 9.8 პუნქტის შესაბამისად.

9.11 „მხარეები“ აღიარებენ, რომ:

(a) მე-9 მუხლის დარღვევამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მეორე „მხარეს“; და

(b) მხოლოდ ფულადი კომპენსაცია არ იქნებოდა „მხარისთვის“ ადეკვატური კომპენსაცია მეორე „მხარის“ მიერ ამ მე-9 მუხლის

დარღვევისთვის, და რომ „მხარეს“ აქვს უფლება მოითხოვოს გარკვეული ქმედების განხორციელება.

10 საცალო მომხმარებლების მართვა

10.1 „ოპერატორები“ ასევე თანხმდებიან და აღიარებენ, რომ გამოიყენება „ბოლო მომხმარებლებთან“ ურთიერთობის შემდეგი პრინციპები:

(a) ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს ერთზე მეტი „ოპერატორის“ მომხმარებელი:

(i) სხვადასხვა „ოპერატორის“ მიერ მიწოდებულ იმავე ან სხვადასხვა „მომსახურებებთან“ დაკავშირებით;

(ii) სხვადასხვა „ოპერატორის“ მიერ მიწოდებულ იმავე ან სხვადასხვა „ტექნიკურ საშუალებებთან“ დაკავშირებით;

(iii) ერთი „ოპერატორის“ მიერ მიწოდებულ „ტექნიკურ საშუალებებთან“ და სხვა „ოპერატორის“ მიერ მიწოდებულ „მომსახურებებთან“ დაკავშირებით.

(b) ერთი „ოპერატორის“ მიერ სხვა „ოპერატორისთვის“ ის მიწოდება, რომელსაც ეს უკანასკნელი „ოპერატორი“ შემდეგ „ტექნიკურ საშუალებების“ ან/და „მომსახურებების“ მისი „ბოლო მომხმარებლებისთვის“ მიწოდებაში იყენებს, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი „ბოლო მომხმარებლები“ არიან პირველად ნახსენები „ოპერატორის“ „ბოლო მომხმარებლები“.

(c) გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, „ოპერატორები“ აღიარებენ, რომ თითოეული „ოპერატორი“ პასუხისმგებელი იქნება მისი საკუთარი „ბოლო მომხმარებლებისთვის“ ანგარიშის წარდგენაზე, თუ „ოპერატორებს“ შორის სხვაგვარად არ იქნება წერილობით შეთანხმებული.

(d) „ბოლო მომხმარებელი“ „ოპერატორის“ „ბოლო მომხმარებლად“ განიხილება, როცა შესაბამისი „მომხმარებელი“ იყენებს მისთვის „ოპერატორის“ მიერ მიწოდებულ ტექნიკურ საშუალებებს ან/და მომსახურებებს.

10.2 „ოპერატორები“ თანხმდებიან და აღიარებენ, რომ თუ წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ სხვაგვარად სპეციალურად არ არის შეთანხმებული და მითითებული, დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი, ასევე ნიშნავს იმას, რომ „ოპერატორი“ არადისკრიმინაციულად მოეპყრობა თავის საკუთარ „ბოლო მომხმარებლებს“ და სხვა „ოპერატორის“ იმ „ბოლო მომხმარებლებს,“ რომლებიც მსგავს პირობებში იმყოფებიან.

10.3 „დაშვების მიმწოდებელს“ პირდაპირ ეკრძალება „დაშვების მსურველის“ „მომხმარებლის“ ინფორმაციის გამოყენება „შეთანხმებული მიზნის“ და კანონისმიერი ვალდებულების შესრულების გარდა სხვა რაიმე მიზნით.

10.4 „ბოლო მომხმარებლის“ შესახებ ინფორმაცია არის იმ „მხარის“ „კონფიდენციალური ინფორმაცია,“ რომელსაც ამ „ბოლო მომხმარებელთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „სატელეკომუნიკაციო მომსახურებების“ მიწოდებაზე. გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, იმ „მხარემ,“ რომელსაც შესაბამის „ბოლო მომხმარებელთან“ გაფორმებული არ აქვს ხელშეკრულება სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებაზე და რომელიც ამ „ბოლო მომხმარებლის“ შესახებ ინფორმაციას მიიღებს წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე „მომსახურებების“ ან „ტექნიკური საშუალებების“ მიწოდების მეშვეობით, ამგვარი ინფორმაცია მხოლოდ სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებისთვის და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად უნდა გამოიყენოს.

10.5 „მხარე,“ რომელსაც „ბოლო მომხმარებელთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებაზე:

(a) პასუხისმგებელია მოაგვაროს და გადაწყვიტოს აღნიშნულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებებთან დაკავშირებით ამ „ბოლო მომხმარებლის“ მიერ წარდგენილი ყველა საჩივარი და კითხვა, მათ შორის, დარიცხვასთან დაკავშირებული ყველა საჩივარი და კითხვა, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე „ხელშეკრულებიდან;“ და

(b) აღნიშნულმა „მხარემ“ ეს „ბოლო მომხმარებლები“ არ უნდა გადაამისამართოს მეორე „მხარეზე“ მათ მიერ წარმოდგენილი საკითხების მოსაგვარებლად.

10.6 „დაშვების მსურველმა“ თავის პერსონალს, კონტრაქტორებს, აგენტებსა და დასაქმებულებს უნდა მისცეს მითითება თავი შეიკავონ „მაგთიკომის“ საჯარო კრიტიკისგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას (ან შეიძლება წარმოიშვა) წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედებიდან.

10.7 არცერთ „მხარეს“ აქვს უფლება პირდაპირ, უმოქმედობით თუ ირიბად განაცხადოს, რომ:

(a) ის უფლებამოსილის მეორე მეორე „მხარის“ მიერ ან წარმოადგენს მეორე „მხარის“ წარმომადგენელს ან აფილირებულ პირს;

(b) მას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს მეორე „მხარესთან“; ან

(c) მის მიერ „ბოლო მომხმარებლებისთვის“ მიწოდებული მომსახურება არის მეორე „მხარის“ მომსახურება.

10.8 არცერთ „მხარეს“ აქვს უფლება დააკავოს მეორე „მხარისთვის“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ თანახმად გადასახდელი რაიმე თანხა იმის გამო, რომ გადახდილი არ არის ის ვალი, რომელიც ამ „მხარისა“ მართებთ მის „ბოლო მომხმარებლებს.“

10.9 „დაშვების მსურველს“ ეკრძალება:

(a) გამოიყენოს „მაგთიკომის“ სავაჭრო ნიშნები, განმასხვავებელი ნიშნები და სხვა სამრეწველო ან ინტელექტუალური საკუთრება მარკეტინგის ან სერვისის პოპულარიზაციისთვის ან სხვა მიზნით;

(b) გამოიყენოს „მაგთიკომის“ სასაქონლო ნიშნები, განმასხვავებელი ნიშნები და სხვა სამრეწველო ან ინტელექტუალური საკუთრება საკუთარი „ბოლო მომხმარებლების“ სერვისის მიმწოდებლის იდენტურობის აღრევის მიზნით;

(c) განახორციელოს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც შეცდომაში შეიყვანს ან დააბნევს „ბოლო მომხმარებელს“ სერვისის მიმწოდებლის ვინაობასთან ან სერვისის მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებით.

10.10 „დაშვების მსურველი“ აცნობიერებს, რომ თავად იქნება პასუხისმგებელი მის მიერ შეთავაზებული პროდუქტების/სერვისების რეკლამირებაზე, მარკეტინგზე, პოპულარიზაციაზე და გაყიდვებზე.

10.11 არცერთი „მხარე“ არ მოახდენს ანონს, რეკლამას, საჯარო განცხადებას, ნებისმიერი სახის მარკეტინგულ აქტივობას ან „დაშვების მსურველის“ მიერ სერვისის მიწოდების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროებას, სანამ „მხარეები“ არ შეთანხმდებიან „დაშვების მსურველის“ მიერ საკუთარი „ბოლო მომხმარებლისთვის“ სერვისის მიწოდების დაწყების თარიღზე.

10.12 ნებისმიერი მარკეტინგული აქტივობა (რეკლამა, ანონსი, საჯარო განცხადება და ა. შ.), სადაც შესაძლებელია გაჟღერდეს „მაგთიკომის“ სახელი, სავაჭრო ნიშანი, ლოგო ან ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც „მაგთიკომთან“ ასოცირების შთაბეჭდილებას შექმნის, „დაშვების მსურველმა“ წინასწარ უნდა შეათანხმოს „მაგთიკომთან“ და მიიღოს წერილობითი თანხმობა.

10.13 „დაშვების მსურველმა“, როგორც საერთო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა, საკუთარ „ბოლო მომხმარებლებს“ სერვისი უნდა მიაწოდოს საკუთარი სახელით და დამოუკიდებლად აგებს პასუხს მასზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და მის მიერ განსახორციელებელ/ განხორციელებულ ქმედებებზე, „ბოლო მომხმარებლის“ და ნებისმიერი მესამე პირების (საჯარო თუ კერძო) წინაშე.

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმა

10.14 „დაშვების მსურველმა“ საკუთარი „ბოლო მომხარებლებს“ უნდა მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა განუმარტოს, რომ მხოლოდ „დაშვების მსურველი“ იქნება პასუხისმგებელი მიწოდებულ ყველა სერვისზე, ბილინგზე, მონაცემების შეგროვებაზე, მხარდაჭერაზე, „ბოლო მომხარებლთან“ გაფორმებული სერვისის მიწოდების ხელშეკრულებით და „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების/ვალდებულებების შესრულებაზე.

10.15 „დაშვების მსურველი“ აცნობიერებს, რომ საკუთარი „ბოლო მომხმარებლის“ წინაშე თავად იქნება პასუხისმგებელი მიწოდებული სერვისის სახეობაზე, ვადებზე, კომპენსაციაზე, შეტყობინების გაგზავნაზე და „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც ეკისრება საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ პირს.

10.16 „დაშვების მსურველი“ საკუთარ ბიზნესს აწარმოებს საკუთარი რისკით, ინვესტიციით და პასუხისმგებლობით. იმ შემთხვევაში, თუ მისი ბიზნესგეგმა და მოლოდინი ნებისმიერი მიზეზით არ გამართლდება, „დაშვების მსურველი“ არც ერთ შემთხვევაში არ თავისუფლდება „მაგთიკომისთვის“ „მომსახურების“ საფასურის და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა საფასურის გადახდისაგან.

10.17 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია „ხელშეკრულების“ საფუძველზე მიღებული „მომსახურება“ მიაწოდოს მხოლოდ „ბოლო მომხმარებელს“. შესაბამისად, „დაშვების მსურველის“ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას წარმოადგენს „ბოლო მომხმარებელთან“ გასაფორმებელი სერვისის მიწოდების ხელშეკრულების პროცესის ორგანიზება და მისი „კანონმდებლობასთან“ შესაბამისობა.

10.18 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია მოახდინოს ყველა საკუთარი „ბოლო მომხმარებლის“ იდენტიფიცირება და გააფორმოს სერვისის მიწოდების ხელშეკრულება „კანონმდებლობით“ დადგენილი წესით.

10.19 „დაშვების მსურველს“ ერკძალება გაუწიოს მომსახურება ისეთ პირს, რომელთანაც არ ექნება გაფორმებული ხელშეკრულება „კანონმდებლობით“ დადგენილი წესით.

10.20 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია, გარდა „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული სავალდებულო პირობებისა, „ბოლო მომხმარებელთან“ გაფორმებულ სერვისის მიწოდების ხელშეკრულებაში ასახოს პირობები, რომელიც:

(a) ეხება „მაგთიკომის“ მიერ „დაშვების მსურველის“ „ბოლო მომხმარებლის“ პერსონალური მონაცემების დამუშავებას;

(b) პირობები, რომელიც არეგულირებს „აბონენტების“ მხრიდან სერვისის კეთილსინდისიერი სარგებლობის პოლიტიკას და მისი დარღვევისას რეაგირების მექანიზმებს, რომელიც სულ მცირე უნდა აკმაყოფილებდეს „მაგთიკომის“ მიერ საკუთარი „ბოლო მომხმარებლის“ დადგენილ სტანდარტებს;

(c) პირობები, რომელიც „ბოლო მომხმარებლებს“ გააფრთხილებს, რომ სერვისის მიღებისთვის უნდა გამოიყენონ მხოლოდ სერტიფიცირებული მოწყობილობები.

10.21 ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „დაშვების მსურველი“ შეუზღუდავად აგებს პასუხს „მაგთიკომის“ ზიანის მიყენების შემთხვევაში და ვალდებული იქნება აუნაზღაუროს როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზიანი.

11 ექსკლუზიური შესყიდვის დაუშვებლობა

11.1 „ხელშეკრულება“ არ ზღუდავს „დაშვების მსურველს“ შეიძინოს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ანალოგიური ან მსგავსი მომსახურება სხვა მომსახურების მიმწოდებლისაგან.

12 ანგარიშის წარდგენა და ანგარიშსწორება

12.1 „დაშვების მსურველი“ ანგარიშსწორებას აწარმოებს დანართით გათვალისწინებული წესით.

12.2 „ხელშეკრულებაში“ მითითებული მომსახურების საფასური არ შეიცავს გადასახადებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს უშუალოდ არის მითითებული. თუმცა, ყველა გადასახადი კანონმდებლობის შესაბამისად ასახული იქნება გამოწერილ ინვოისებში/ანგარიშ-ფაქტურებში.

13 ანგარიშსწორების წესი

13.1 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია აწარმოოს ანგარიშსწორება „ხელშეკრულებით“/„დანართით“ გათვალისწინებული წესით და ვადაში.

13.2 უცხო ქვეყნების ქსელის გამოყენებისთვის უცხოურ ვალუტაში გამოწერილი ინვოისებზე ანგარიშსწორება მოხდება გამოწერილ ვალუტაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვანაირად არის შეთანხმებული.

13.3 „დაშვების მსურველის“ მიერ გადასახდელი საფასური შედგება „მომსახურების“ ყოველთვიური საფასურის, მხარდაჭერის და ინსტალაციის/იმპლემენტაციის საფასურისაგან და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა საფასურისაგან, რომლის ოდენობა

მითითებულია „ხელშეკრულების“ დანართში. ინსტალაციის/იმპლემენტაციის ერთჯერადი საფასური „დაშვების მსურველმა“ უნდა გადაიხადოს წინასწარ ან „მხარეთა“ შორის შეთანხმებული გრაფიკით.

13.4 პირგასამტეხლოს/საურავის დარიცხვისას „მაგთიკომს“ უფლება აქვს ვადადამდგარი დარიცხული საურავი/პირგასამტეხლო შეიტანოს უახლოეს გამოსაწერ ინვოისში.

13.5 თუ ინვოისის/ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი ოპერატორი აღმოაჩენს შეცდომას გამოწერილ დოკუმენტში, ის ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს. შესაბამისი კორექტირება, დარიცხული საურავის/პირგასამტეხლოს არსებობის შემთხვევაშიც, დაკორექტირებული უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად ან შემდგომი უახლოესი პერიოდის ინვოისში/ანგარიშ-ფაქტურაში.

13.6 ინვოისის გამომწერი ოპერატორს უფლება აქვს შეცდომით დაკლებული/არგამოწერილი თანხები/საურავები წარუდგინოს გადასახდელად მეორე „მხარეს“ აღნიშნული ფაქტის დასაბუთების შემთხვევაში.

13.7 თუ სადაო ხდება გამოწერილი ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურა, „დაშვების მსურველი“ ვალდებულია მაინც გადაიხადოს დარიცხული საფასური და თუ „მხარეები“ შეთანხმდებიან დარიცხული თანხის კორექტირებაზე, აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ იქნება მომდევნო თვის ანგარიშსწორებისას.

13.8 გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, „დაშვების მსურველი“ არ გამოიყენებს დავების გადაჭრის პროცედურას არაკეთილსინდისიერად.

14 „უზრუნველყოფის თანხა“

14.1 „დაშვების მსურველმა“ უნდა წარმოადგინოს „უზრუნველყოფის თანხა“ (ჩარიცხოს თანხა „მაგთიკომის“ ანგრიშზე ან/და წარმოადგინოს „საბანკო გარანტია“. საბანკო გარანტიის ნიმუში მოცემულია დანართში) „მომსახურების“ (მათ შორის, ინსტალაციის/იპლემენტაციის, მხარდაჭერის) ჯამური ღირებულების 12 თვის ღირებულების ოდენობით.

14.2 „მაგთიკომი“ უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს ფულადი მოთხოვნა „უზრუნველყოფის თანხიდან“ „დაშვების მსურველისაგან“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელიც „დაშვების მსურველის“ მიერ სრულად არ იქნება გადახდილი „ხელშეკრულებით“ დადგენილ ვადაში. „მაგთიკომი“ უფლებამოსილია ნაწილობრივ ან სრულად შეუჩეროს „დაშვების

მსურველს“ „მომსახურების“ მიწოდება, თუ „საბანკო გარანტიას“ გაუვა ვადა ან იგი მიჩნეულ იქნება ბათილად/ძალადაკარგულად.

14.3 „საბანკო გარანტია“ უნდა იყოს ძალაში „ხელშეკრულების“ მოქმედების მთელი პერიოდის და შემდგომ 3 თვის ვადის განმავლობაში. „დაშვების მსურველი“ ვალდებულია „საბანკო გარანტიის“ ვადის გასვლამდე არანაკლებ 90 დღით ადრე წარმოადგინოს განახლებული „საბანკო გარანტია“.

14.4 საწყისი „უზრუნველყოფის თანხის“ ოდენობა გამოიანგარიშება „დაშვების მსურველის“ მისაღები ყველა მომსახურების, მათ შორის ინსტალაციის, იმპლემენტაციის, მხარდაჭერის ჯამური საფასურით. უზრუნველყოფის თანხის გარეშე „მაგთიკომი“ უფლებამოსილია არ დაიწყოს „მომსახურების“ მიწოდება. დაზუსტების მიზნით, „უზრუნველყოფის თანხა“ არ ათავისუფლებს „დაშვების მსურველს“ „მაგთიკომისთვის“ თანხების გადახდის ვალდებულებისგან და არც „მაგთიკომის“ უფლების უარყოფას/შეზღუდვას წარმოადგენს, შეაჩეროს, გათიშოს ან შეუყვიტოს შესაბამისი სივრცეებით სარგებლობა და/ან მომსახურების მიწოდება „მაგთიკომისთვის“ ნებისმიერი ვადამოსული ან გადასახდელი თანხების გადაუხდელობის გამო.

14.5 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ამოქმედების შემდეგ, „მაგთიკომს“ უფლება აქვს გადახედოს „უზრუნველყოფის თანხის“ მოცულობას და მოითხოვოს მისი გაზრდა შემდეგი გარემოებების დადგომის შემთხვევაში:

(a) თუ უზრუნველყოფის თანხა ნაკლებია 12 თვეზე დათვლილ მინიმალურ თანხაზე;

(b) როდესაც, „მაგთიკომის“ აზრით, მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება „დაშვების მსურველის“ გადახდისუნარიანობაში. ასეთ დროს „მაგთიკომს“ შეუძლია მოითხოვოს მინიმალური მოცულობის ზემოთ დამატებითი უზრუნლვეყოფა, რათა შეამციროს სივრცისა თუ სერვისების მიწოდებიდან წარმოქმნილი რისკი. მეტი სიცხადისთვის, მნიშვნელოვანი ცვლილება გულისხმობს და არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგებით: თუ ბოლო 6 თვის მანძილზე მოხდა გადახდის ვადის დარღვევა სულ მცირე ერთხელ

(c) დამატებითი სივრცეების და/ან მომსახურებების „დაშვების მსურველისთვის“ მიწოდების შემთხვევაში იმის უზრუნველსაყოფად, რომ უზრუნველყოფა შეესაბამებოდეს დამატებითი სივრცის ან მომსახურებების მიწოდებით წარმოქმნილ დამატებით ღირებულებას 12 თვიან პერიოდზე.

(d) შეიცვალა უზრუნველყოფის თანხის დათვლის მეთოდოლოგია.

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმა

14.6 თუ უზრუნველყოფის თანხა, დროის ნებისმიერ მომენტში, ნაკლებია 12 თვიან პერიოდზე დათვლილ მინიმალურ ღირებულებაზე (იმ შემთხვევის ჩათვლით, როდესაც მოთხოვნა განხორციელა „მაგთიკომის“ მიერ), „დაშვების მსურველის“ 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოფს დამატებითი დეპოზიტის განთავსებას ან საბანკო გარანტიის წარმოდგენას, რომელიც შეესაბამება მინიმალურ ღირებულებას. მოთხოვნის არ შესრულების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს მომსახურების მიწოდება.

14.7 „მაგთიკომი“ უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს ფულადი მოთხოვნა დეპოზიტიდან ან „საბანკო გარანტიიდან“ „დაშვების მსურველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელიც „დაშვების მსრუველის“ მიერ სრულად არ იქნება გადახდილი დადგენილ ვადაში. „მაგთიკომს“ გააჩნია დისკრეციული უფლება გამოიყენოს უზრუნლვეყოფაში წარმოდგენილი ფინანსური ინსტუმენტები ვადაგადაცილებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ან დაშვების მსურველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას.

14.8 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოშლისას/შეწყვეტისას:

(a) მოშლის/შეწყვეტის დღიდან 60 დღის განმავლობაში „მაგთიკომი“ დაიანგარიშებს „მაგთიკომის“ მხრიდან გაწეული „მომსახურების“ საფასურს და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს; და

(b) „დაშვების მსურველის“ მხრიდან გადასახდელი თანხის ოდენობის და სხვა მოთხოვნების ჯამური ოდენობის განსაზღვრის შემდგომ, წარუდგენს წერილობით და დასაბუთებულ მოთხოვნას „დაშვების მსურველს“. „დაშვების მსურველი“ ვალდებულია დააკმაყოფილოს „მაგთიკომის“ მოთხოვნები წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

(c) 14.8 (b) პუნქტით განსაზღვრულ ვადაში „დაშვების მსრუველის“ მხრიდან ვალდებულების არ შესრულების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს მოთხოვნები „საბანკო გარანტიიდან“ ან/და „საგარანტიო თანხიდან“. „საგარანტიო თანხიდან“ დარჩენილ თანხას (ასეთის არსებობისას) „მაგთიკომი“ დაუბრუნებს „დაშვების მსურველს“ 30 დღის განმავლობაში.

14.9 თუ „უზრუნველყოფის თანხა“ ვერ დაფარავს „მაგთიკომის“ მოთხოვნას, „დაშვების მსურველი“ ვალდებულია დარჩენილი მოთხოვნები დააკმაყოფილოს „მაგთიკომის“ წერილობითი მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში.

14.10 „უზრუნველყოფის თანხიდან“ „მაგთიკომის“ მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შემოიფარგლება „დაშვების მსურველის“ მხრიდან მხოლოდ ანგარიშსწორების ვადის დარღვევისას, არამედ ვრცელდება ნებისმიერი სახის მოთხოვნაზე, რომელიც შეიძლება წარმოეშვას „მაგთიკომს“ „დაშვების მსურველის“ მხრიდან „ხელშეკრულების“ მოთხოვნათა არ ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მათ შორის, პირგასამტეხლოს და ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობისას.

14.11 თუ „მხარეთა“ შორის დაიწყება დავა და „მაგთიკომს“ ექნება ფულადი მოთხოვნა „დაშვების მსურველის“ მიმართ „მაგთიკომი“ უფლებამოსილია:

(a) არ დაუბრუნოს „დაშვების მსურველს“ დეპოზიტზე არსებული თანხა დავის დასრულებამდე და დასრულების შემდეგ იმოქმედოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად; და

(b) გაანაღდოს „საბანკო გარანტია“, როდესაც მისი მოქმედების ვადამდე დარჩება 30 დღით ნაკლები (თუ მანამდე ძალაში არ იქნება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება) და დავის დასრულების შემდეგ „მაგთიკომი“ იმოქმედებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად.

15 პერსონალის უსაფრთხოება და ქსელის დაცვა

15.1 ორივე „მხარე“ პასუხისმგებელია თავისი ქსელის უსაფრთხო ოპერირებაზე და მიიღებს ყველა საჭირო ზომას აშნიღნული „ხელშეკრულების“ ფარგლებში, რომ მისმა ქსელმა:

(a) საფრთხე არ შეუქმნას თანამშრომელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, კონტრაქტორებს, აგენტებს, მეორე მხარის აბონენტებს და საზოგადოებას;

(b) არ დააზიანოს, არ შეუქმნას ხელისშეშლა, არ გააუარესოს მეორე მხარის ქსელი.

15.2 არცერთი მხარე არ დააერთებს ან დართავს ნებას დააერთოს თავის ქსელზე ნებისმიერ სახის ტექნიკა ან დანადგარი (აპარატურა), რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, არ არის წარმოებულის ავტორიზებული მწარმოებლის მიერ, მოდიფიცირებულია/გადაკეთებულია არა მწარმოებლის მიერ, არ არის ნებადართული კანონით ან კანონთან დაკავშირებული რეგულაციით.

15.3 „დაშვების მსურველს“ ეკრძალება „მაგთიკომის“ ნებართვების გარეშე ინფრასტრუქტურასთან მისვლა და ნებისმიერი ქმედების განხორციელება. „დაშვების მსურველი“ ვალდებულია ინფრასტრუქტურასთან დაშვებისას დაიცვას ყველა ტექნიკური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების, მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა ნორმები და „მაგთიკომის“ წარმომადგენლის მითითებები.

15.4 „მაგთიკომი“ უფლებამოსილია აუკრძალოს დაშვება კონკრეტულ ფიზიკურ პირ(ებ)ს, რომელიც დაარღვევს ნებართვით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არ შეასრულებს „მაგთიკომის“ წარმომადგენლის მითითებებს.

15.5 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ დაიცავენ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ „კანონმდებლობით“ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნებს და რეკომენდაციებს.

15.6 მოთხოვნის შემთხვევაში, „დაშვების მსურველი“ უზრუნველყოფს „მაგთიკომის“ მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობის შეფასებისათვის შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

15.7 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია დაიცვას „მაგთიკომის“ ინფორმაციულ აქტივებზე წვდომისათვის წინასწარ შეთანხმებული წესები.

15.8 ინფორმაციული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხის არსებობის ან/და ინციდენტის დაფიქსირების შეთხვევაში, „დაშვების მსურველი“ ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „მაგთიკომს“ და მიაწოდოს ინციდენტთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

15.9 „დაშვების მსურველს“ ეკისრება პასუხისმგებლობა „მაგთიკომის“ ინფორმაციულ აქტივებზე წვდომისას განხორციელებული ნებისმიერი მოქმედებისათვის/აქტივობისათვის. გარდა ამისა, თუ „დაშვების მსურველი“ დაარღვევს „მაგთიკომის“ ინფორმაციულ აქტივებზე წვდომის წესებს, ამ უკანასკნელს უფლება ექნება მოითხოვოს ზიანის (როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირის) ანაზღაურება.

15.10 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულობა იმ პირთა შერჩევისას, რომელთაც ჩართული იქნებიან „ხელშეკრულების“ პროცესში. ასეთ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, მათ შორის გავლილი უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო სწავლება/ტრეინინგი, მათ შორის შრომის უსაფთხოების ნაწილში. ამასთან, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს პირს სწავლების/ტრეინინგის გავლის სერტიფიკატი. ამასთან, „დაშვების მსურველი“ აცნობიერებს, რომ „დაშვების მსურველის“

სპეციალისტის/წარმომადგენლის/კონტრაქტორის ქმედება განხორციელდება „დაშვების მსურველის“ პასუხისმგებლობითა და რისკით, შესაბამისად, „დაშვების მსურველი“ იქნება სრულად პასუხისმგებელი, როგორც მისი მათ ქმედებებზე.

15.11 „დაშვების მსურველი“ იქნება პასუხისმგებელი შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების (როგორც კანონმდებლობით ასევე „მაგთიკომის“ მიერ დადგენილი წესების) დაცვაზე, ხოლო „ხელშეკრულების“ ან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში „დაშვების მსურველი“ შეუზღუდავად აგებს პასუხს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს, „მაგთიკომის“ ან ნებისმიერი სხვა პირის წინაშე.

15.12 „მაგთიკომი“ უფლებას იტოვებს შეცვალოს ან დამატებით შეიმუშაოს ინფრასტრუქტურასთან დაშვების, შრომის და ინფორმაციული უსაფრთხოების პირობები/სახელმძღვანელო. ასეთ შემთხვევაში, „მაგთიკომი“ წერილობით შეატყობინებს „დაშვების მსურველს“ ასეთი წესების ძალაში შესვლის თაობაზე და იგი სავალდებულო იქნება „დაშვების მსურველის“ მხრიდან შესასრულებლად.

15.13 „მაგთიკომს“ უფლება აქვს განახორციელოს მონიტორინგი და ჩაატაროს „დაშვების მსურველის“ ქსელის ანალიზი/ საქმიანობის მონიტორინგი „ხელშეკრულებით“ /კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების, სისტემების ან „ხელშეკრულებით“ დადგენილი სხვა ვალდებულებების (მათ შორის შრომის და ინფორმაციული უსაფრთხოების ნაწილში) შესაბამისობის დადგენის მიზნით. „მაგთიკომი“ უფლებამოსილია ასეთი მონიტორინგი ჩაატაროს მის მიერ დაქირავებული აუდიტორის/სპეციალისტის საშუალებით, იმ პირობით, რომ ასეთ პირთან გაფორმებული ექნება ხელშეკრულება ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

15.14 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს „მაგთიკომთან“ მონიტორინგის ჩატარებისას და მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებული იქნება მონიტორინგის ჩატარებასთან და დაუშვას საკუთარ ქსელთან/ინფრასტრუქტურასთან. იმ პირობით, რომ „მაგთიკომის“ მიერ დაცული იქნება მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

15.15 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აღმოფხვრას მონიტორინგის შედეგად ნებისმიერი ხარვეზი ან შეუსაბამობა.

15.16 თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდება არსებითი შეუსაბამობები, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია არსებული რისკის პროპორციულად ზომა, მათ შორის შეზღუდოს/შეაჩეროს გარკვეული სახის „მომსახურების“ მიწოდება ან შეზღუდოს „დაშვების მსურველის“ „მაგთიკომის“

ქსელზე/ინფრასტრუქტურაზე დაშვების კომპონენტები, რომელიც აუცილებელი იქნება „მაგთიკომის“ ქსელის და მისი „ბოლოს მომხმარებლების“ დასაცავად, სანამ „დაშვების მსურველის“ მიერ არ იქნება აღმოფხვრილი ასეთი შეუსაბამობები. „მაგთიკომი“ ასევე უფლებამოსილია

15.17 ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „დაშვების მსურველი“ შეუზღუდავად აგებს პასუხს „მაგთიკომისთვის“ ზიანის მიყენების შემთხვევაში და ვალდებული იქნება აუნაზღაუროს როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზიანი.

16 შეჩერება

16.1 ხელშეკრულების მე-16-ე მუხლის შესაბამისად „მხარეს“ შეუძლია შეაჩეროს წინამდებარე „ხელშეკრულება“ იმ მოცულობით, იმ ვადით და იმ ვალდებულებების შესრულებამდე, რასაც თვითონ ჩათვლის გონივრულად და შეწყვიტოს წვდომა მომსახურებებსა და სივრცეებზე შემდეგ შემთხვევებში:

(a) მეორე „მხარის“ ობიექტები მნიშვნელოვნად და უარყოფითად მოქმედებენ პირველი „მხარის“ ქსელზე, ან მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან ნებისმიერ სხვა მხარის უსაფრთხოებას; ან

(b) მეორე „მხარის“ მიერ სივრცეებსა და მომსახურებებზე წვდომა შესაძლო საფრთხეს უქმნის პირველი „მხარის“ ქონებას, თანამშრომლებს ან კონტრაქტორებს; ან

(c) მეორე „მხარის“ ობიექტები მნიშვნელოვან ფიზიკურ ან ტექნიკურ ზიანს აყენებენ „მხარეს“ ან ნებისმიერ პირს; ან

(d) „დაშვების მსურველმა“ „ხელშეკრულების“ შესაბამისად ვერ გადაიხადა „მაგთიკომის“ მიმართ წარმოშობილი ვალდებულება; ან

(e) „დაშვების მსურველმა“ ხელშეკრულების მე-13 მუხლის შესაბამისად ვერ წარმოადგინა შესაბამისი „უზრუნველყოფის თანხა“; ან

(f) დადგა ფორს-მაჟორული მდგომარეობა; ან

(g) მეორე მხარე არღვევს, „ხელშეკრულებას“ კანონს, რეგულაციას, წესს ან სტანდარტს, რასაც მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა აქვს პირველი მხარის სივრცეებსა, ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე, პერსონალურ მონაცემების დაცვაზე.

16.2 გარდა 16.1 მუხლისა და 16.3 მუხლით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, მხარეს აქვს უფლება შეაჩეროს „ხელშეკრულება“, მომსახურება ან წვდომა სივრცეზე მეორე მხარისთვის შეწყვეტის შეტყობინების წარდგენის შემთხვევაში თუ:

(a) მეორე მხარემ განახორციელა ისეთი სერვისი, რომელიც იწვევს „ხელშეკრულების“ მნიშვნელოვან დარღვევას, პირველმა მხარემ მისცა 5 სამუშაო დღე დარღვევის აღმოსაფხვრელად და მეორე მხარემ ვერ უზრუნველყო ვადაში დარღვევის აღმოფხვრა;

(b) მეორე მხარემ არ შეასრულა ქმედება, რაც წინააღმდეგობაშია „ხელშეკრულებასთან“ (მაგალითად არ გადაიხადა გაწეული მომსახურების ან სივრცეზე დაშვების ღირებულება დროულად ან სრულად), მას მიეცა დრო დარღვევის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღე და აღნიშნულ ვადაში არ უზრუნველყო დარღვევის აღმოფხვრა;

(c) თუ მხარეს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მეორე „მხარემ“ სცადა გამოეყენებინა, ცდილობს გამოიყენოს ან გამოიყენა სივრცე ან მომსახურება კანონის დარღვევით და პირველ „მხარეს“ აქვს საჭირო მტკიცებულებები „კომისიისგან“ ან შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისგან, რომ მეორე მხარე წინააღმდეგობაშია კანონთან;

(d) თუ კანონთან და რეგულაციებთან შესაბამისობაში ყოფნა მოითხოვს ამას;

(e) წინამდებარე „ხელშეკრულება“, გაწეული მომსახურება ან წვდომა სივრცეზე უკანონოა ან უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას;

(f) თუ მხარეების მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის მცდარი, ტყუილი, არაზუსტი და გააჩნია მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მეორე მხარეზე სერვისების გაწევასა ან სივრცეებზე წვდომის მხრივ;

(g) თუ „მხარე“ დაარღვევს „ხელშეკრულებით“ გაცემულ რომელიმე გარანტიას.

16.3 „მხარეს“ შეუძლია შეაჩეროს „ხელშეკრულების“ მოქმედება, სერვისის გაწევა ან წვდომა სივრცეზე მხოლოდ იმ მოცულობით და/ან ვადით, რაც საჭიროა შეჩერების მიზეზის აღმოსაფხვრელად.

16.4 შეჩერების შეტყობინების გაგზავნა ან სხვა მხრივ „ხელშეკრულების“, მომსახურების, სივრცეზე წვდომის შეჩერება მე-16-ე მუხლის შესაბამისად არ ართმევს შეჩერების განმახორციელებელ მხარეს უფლებას გამოიყენოს შეწყვეტის შეტყობინება ან იმოქმედოს სხვაგვარად მე-18-ე მუხლის შესაბამისად.

16.5 „ხელშეკრულების“ ან მომსახურების შემჩერებელი „მხარე“ მოხსნის შეჩერებას, მაშინვე გონივრულ ვადაში, სამუშაო საათებში, როგორც კი შეჩერების მიზეზი იქნება აღმოფხვრილი.

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმა

16.6 თუ „ხელშეკრულება“ შეჩერებულია 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, შემჩერებელ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

16.7 „მაგთიკომი“ უფლებამოსილია შეუზღუდოს ან შეუწყვიტოს „დაშვების მსურველის“ „ბოლო მომხმარებელს“ სერვისის მიწოდება, თუ „ბოლო მომხმარებელი“ იყენებს მოწყობილობებს ან სხვა აღჭურვილობას, რომლებიც არის ნაკლის მქონე ან კანონით აკრძალული ან არ შეესაბამება საერთაშორისო ტექნიკურ სტანდარტებს, ადგილი აქვს ფროდს, იწვევს ტექნიკურ პრობლემებს „მაგთიკომის“ ქსელში, უნებართვოდ იყენებს მომსახურებას ან შეუძლებელია მისი, როგორც მომხმარებლის იდენტიფიცირება. ასეთ შემთხვევაში, შეზღუდვამდე ანდა შეწყვეტამდე, „მაგთიკომი“ აცნობებს „დაშვების მსურველს“ ამის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი წინასწარი შეტყობინება მიზანშეუწონელია, საჭიროა მყისიერი რეაგირება ან გონივრულად შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში „დაშვების მსურველის“ ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ ამ ფაქტის შემდგომ, შესაბამისი შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

16.8 თუ „მაგთიკომს“ ან „დაშვების მსურველს“ ეჭვი გაუჩნდება „მომსახურებებთან“ დაკავშირებულ რაიმე სახის თაღლითობაზე ან ბოროტად გამოყენებაზე, ისინი დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს და კეთილსინდისიერად ითანამშრომლებენ და გამოიყენებენ ყველა შესაბამის საშუალებას მყისიერად მოახდინონ იდენტიფიცირება, თავიდან აიცილონ ან აღმოფხვრან თაღლითობა ან „მომსახურების“ ბოროტად გამოყენება, რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

16.9 იმ შემთხვევაში, თუ „დაშვების მსურველი“ არ მოახდენს რეაგირებას თაღლითურ ქმედებებზე, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც „მაგთიკომს“ გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, „მომსახურება“ გამოყენებულია თაღლითური (ფროდის) მიზნით ან დაკავშირებულია ფროდთან, „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს მომსახურების მიწოდება, შეტყობინების გარეშე. ასეთ შემთხვევებში „დაშვების მსურველის“ ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ ამ ფაქტის შემდგომ, შესაბამისი შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

16.10 ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, „მხარემ“ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები მის აღსაკვეთად. თუ სხვა საშუალებით საფრთხის თავიდან არიდება შეუძლებელია და მოითხოვს მყისიერ რეაგირებას მეორემ მხარე იტოვებს უფლებას რისკის პროპორციულად, სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს „მომსახურების“ მიწოდება წინასწარი შეტყობინების გარეშე. ასეთ შემთხვევებში მხარის

ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ ამ ფაქტის შემდგომ, შესაბამისი შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

16.11 ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „დაშვების მსურველი“ შეუზღუდავად აგებს პასუხს „მაგთიკომისთვის“ ზიანის მიყენების შემთხვევაში და ვალდებული იქნება აუნაზღაუროს როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზიანი.

17 შეჩერების შედეგები

17.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ან მის შემდგომ მიწოდებული „მომსახურების“ ან წვდომის შეჩერებისას:

(a) შეჩერებული მომსახურების ან სივრცეზე წვდომის მიწოდება შეწყდება;

(b) სხვა სერვისების მიწოდება, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შეჩერებით, გაგრძელდება და მასზე გავლენას არ მოახდენს;

(c) ეს „ხელშეკრულება“ დარჩება სრულ ძალაში და მოქმედებაში;

(d) „დაშვების მსურველმა“ უნდა გააგრძელოს ყველა საფასურის გადახდა ნებისმიერ შეჩერებულ მომსახურებასთან/წვდომასთან დაკავშირებით იმ სერვის(ებ)ის შეჩერების ხანგრძლივობის განმავლობაში ან ობიექტებზე წვდომის პერიოდში, სხვა მომსახურებებთან ან ობიექტებთან ერთად, რომლებიც არ ექვემდებარება შეჩერებას.

17.2 გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, წინამდებარე „ხელშეკრულების“ ვადაზე გავლენას არ მოახდენს რომელიმე მომსახურების, ობიექტების ან წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეჩერება (გარემოებებიდან გამომდინარე).

17.3 „მაგთიკომი“ არ იქნება პასუხისმგებელი „დაშვების მსურველის“ წინაშე რაიმე დანაკარგზე ან ზიანზე (მათ შორის ნებისმიერი თანმდევი ზიანზე), რომელიც შეიძლება განიცადოს „დაშვების მსურველმა“ მომსახურების კანონიერი შეჩერების, ობიექტებზე წვდომის შეჩერების ან წინამდებარე შეთანხმების შედეგად (გარემოებებიდან გამომდინარე).

18 შეწყვეტა

18.1 თუ რომელიმე მხარე არსებითად არღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებას“ რომელიმე დებულებას (მათ შორის, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობა), მეორე მხარეს შეუძლია წარადგინოს წერილობითი შეტყობინება („შეტყობინება დარღვევის შესახებ“) დამრღვევ მხარეს და რაც შეიძლება დეტალურად მიუთითოს დარღვევა და მოთხოვნილი გამოსავალი.

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმა

18.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ 16.2 პუნქტის დებულებების მიუხედავად, თუ დამრღვევი მხარე ვერ ახერხებს დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ათი (10) კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ არ არსებობს დარღვევის გამოსწორების გონივრული შესაძლებლობა, დაზარალებულ მხარეს შეუძლია, სანამ ასეთი დარღვევა არ გამოსწორდება, განახორციელოს დარღვევის შესახებ შეტყობინებაში მითითებული ქმედებები, მათ შორის, შეაჩეროს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რაც შეიძლება გონივრული იქნება მოცემულ გარემოებებში.

18.3 დაზარალებულ მხარეს შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“, იმ შემთხვევებში, თუ დამრღვევი მხარე ვერ ახერხებს დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდარვა (28) კალენდარული დღის განმავლობაში.

18.4 წინამდებარე „ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, მხარისთვის რომელიც არღვევს მას (ან სხვა ისეთი ვადის გასვლისას, რომელიც შეიძლება მითითებული იყოს ასეთ შეტყობინებაში), თუ მოხდება რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილიდან:

(a) მხარე ოფიციალურად იწყებს გაკოტრების წარმოებას; ან

(b) გაკოტრების პროცესი ოფიციალურად დაიწყო მხარის წინააღმდეგ; ან

(c) მხარე წყვეტს საქმიანობას; ან

(d) ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდა ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში; ან

(e) თუ „მხარე“ დაარღვევს „ხელშეკრულებით“ ან „ოფერტით“ გაცემულ რომელიმე გარანტიას ან ასეთი გარანტია აღმოჩნდება მცდარი;

(f) „კომისიის“ ან „სასამართლოს“ გადაწყვეტილებით „მაგთიკომის“ მიმართ დადგენილი ვალდებულების ცვლილების/გაუქმების შემთხვევაში;

(g) „მხარე“ დაარღვევს ელექტრონული კომუნიკაციის ან კონკურენციის შესახებ „კანონმდებლობას“, რამაც შეიძლება აკრძალოს ან სხვაგვარად შეზღუდოს „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების“ მიწოდება;

(h) „დაშვების მსურველი“ არ წარმოადგენს ან არ გაზრდის „უზრუნველყოფის თანხას“ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით შემთხვევაში ან „საბანკო გარანტია“ მიიჩნევა ბათილად/ძალადაკარგულად.

(i) „კომისიის“ წევრი ან მისი ოჯახის წევრი გახდება „მხარის“ ან მისი „აფილირებული პირის“ წილის ან აქციის მფლობელი ან დაინიშნება

მენეჯერულ პოზიციაზე ან „მხარე“ ან მისი „აფილირებული პირი“ მოექცევა „კომისიის“ წევრის ან მისი ოჯახის წევრის „კონტროლის“ ქვეშ.

18.5 მხარეებს შეუძლიათ ორმხრივად წერილობით შეთანხმდნენ შეწყვიტონ წინამდებარე „ხელშეკრულება“ და ამისათვის შეათანხმონ ვადები.

18.6 „მხარის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობის დარღვევის შემთხვევაში, მეორე „მხარის“ მიერ შეწყვეტის უფლების არ გამოყენება არ ზღუდავს ასეთ „მხარეს“ მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს მიყენებული ზიანი/გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

18.7 ამ მუხლით გათვალისწინებული „მხარეთა“ უფლება შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ ან დაიწყოს მისი შეწყვეტის პროცედურა, არ ზღუდავს და არ აუქმებს „ხელშეკრულების“ სხვა დებულებებში მოცემულ „მხარეთა“ უფლებას რეაგირება მოახდინონ „ხელშეკრულების“ პირობის დარღვევაზე, მათ შორის შეზღუდოს „მომსახურების“ მიწოდება.

19 მომხმარებლების მიგრაცია

19.1 „ხელშეკრულების“ შეწყვეტისას და მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ გამოიყენებს კომერციულად გონივრულ ძალისხმევას, რათა დაეხმაროს „დაშვების მსურველს“ მისი „ბოლო მომხმარებელების“ „მაგთიკომის“ ქსელში მოწესრიგებულ მიგრაციაში, რომ გადასვლა იყოს შეძლებისდაგვარად ეფექტური და სწრაფი. თუ „მხარეები“ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან „დაშვების მსურველი“ ვალდებული იქნება გაიღოს ხარჯი, რომლებიც დაკავშირებული იქნება „ბოლო მომხმარებლების“ მიგრაციასთან.

19.2 თუ „მხარეები“ ვერ შეთანხმდებიან „ხელშეკრულების“ მიგრაციაზე ან „დაშვების მსურველი“ არ თანამშრომლობს „დაშვების მსურველმა თავად, „მაგთიკომის“ დახმარების გარეშე უნდა უზრუნველყოს სერვისის უწყვეტობა მომხმარებლების ინტერესების დაუზიანებლად.

20 შეწყვეტის შედეგები

20.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ან მის ფარგლებში გათვალისწინებული ნებისმიერი „მომსახურების“ შეწყვეტისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

(a) ამ „ხელშეკრულებასთან“ ან შეწყვეტილ მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახდელი ყველა თანხა (ასეთის არსებობის

შემთხვევაში), გახდება დაუყოვნებლივ გადასახდელი, გარდა თანხისა, რომელზეც არ იყო გამოწერილი შესაბამისი ინვოისი „ხელშეკრულების“ შეწყვეტამდე, ასეთი თანხა გადასახდელი იქნება შესაბამისი ინვოისის მიღებისთანავე;

20.2 როდესად „მომსახურებების“ მიწოდება ან ობიექტებზე წვდომა ნაწილობრივ წყდება:

(a) შეწყდება შეწყვეტილი მომსახურებების ან ობიექტებზე წვდომა;

(b) სხვა მომსახურებების ან ობიექტების მიწოდება, რომელიც არ არის გათვალისწინებული შეწყვეტით, გაგრძელდება და

(c) შეწყვეტას არ ექნება გავლება წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობებზე რომელიც დაკავშირებულია სხვა მომსახურების ან ობიექტების გაწევასთან;

(d) ყველა უფლება და სარგებელი, რომელიც ენიჭება მხარეს ამ „ხელშეკრულებით“ ან მომსახურებების/ობიექტების მიწოდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყონებლივ შეწყდება;

(e) თითოეულმა მხარემ შეწყვეტიდან სამი(3) კალენდარული წლის განმავლობაში დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს მეორე მხარის ნებისმიერი წერილობითი შეტყობინება მიწოდების, განადგურების ან წაშლის შესახებ მეორე მხარის კუთვნილი ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ამ „ხელშეკრულებასთან“ ან მომსახურებების/ობიექტის მიწოდების შეწყვეტასთან.

20.3 ამ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემდეგ, თითოეული მხარე გადადგამს შესაბამის ნაბიჯს, რაც საჭიროა „მაგთიკომის“ ფართის/აპარატურის/აღჭურვილობის პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად. თუ „დაშვების მსურველი“ ვერ შეძლებს მის აღდგენას წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტიდან ან ვადის გასვლიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში, „დაშვების მსურველი“ ვალდებულია 10 დღის განმავლობაში აუნაზღაუროს შესაბამისი კომპენსაცია გონივრული ხარჯების ასანაზღაურებლად.

20.4 თუ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტიდან ან ვადის გასვლიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის შემდეგ, რომელიმე მხარე ვერ შეძლებს აღადგინოს რომელიმე ან მთელი მისი აღჭურვილობა მეორე მხარის ქმედებების ან უმოქმედობის გამო (ან მესამე მხარე, აკონტროლებს იმ ადგილს, სადაც ასეთი აღჭურვილობა განლაგებულია) გონივრული მიზეზის გარეშე, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს გონივრული კომპენსაცია, რომელიც უნდა გადაიხადოს მეორე მხარემ ოცდაათი (30)

კალენდარული დღის განმავლობაში ამ კომპენსაციის შესახებ წერილობითი მოთხოვნის მიღების დღიდან.

20.5 თუ „მაგთიკომი“ წყვეტს წინამდებარე „ხელშეკრულებას“ ან ტექნიკური საშუალებების ან/და მომსახურებების მიწოდებას (ასეთის არსებობისას) არ არის პასუხისმგებელი „დაშვების მსურველის“ წინაშე რაიმე დანაკარგზე ან ზარალზე (მათ შორის, ნებისმიერი თანმდევი ზარალისთვის), რომელიც გამოწვეულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ ვალიდურ შეწყვეტასთან დაკავშირებით ან მომსახურებების/ობიექტების მიწოდებსთან (ასეთი შემთხვევაში).

20.6 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ან მის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურებების/ობიექტის მიწოდების შეწყვეტა (გარემოებიდან გამომდინარე) არ ჩაითვლება რომელიმე პირობის დარღვევად და არ აზიანებს მხარეთა ვალდებულებას ან/და უფლებას, რომელიც წარმოიქმნა „ხელშეკრულების“ შეწყვეტამდე.

20.7 31-ე მუხლში მითითებული დებულებები, შეუზღუდავად დარჩება ძალაში ამ შეთანხმების შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემდეგ.

21 ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

21.1 გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ინტელექტუალური საკუთრების უფლება რჩება იმ მხარის საკუთრებაში, რომელიც ქმნის ან ფლობს მას და ამ „ხელშეკრულებაში“ არაფერი არ ჩაითვლება როგორც რაიმე უფლების ან ლიცენზიის მინიჭებად ერთი მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე მეორე მხარისთვის, და არაფერი ამ „ხელშეკრულებაში“ არ ჩაითვლება როგორც მზღუდავი რომელიმე მხარის უფლებას ფლობდეს, გამოიყენოს, ისარგებლოს, გასცეს ლიცენზია, ასევე მიანიჭოს ან გადასცეს საკუთარი ინტელექტუალური საკუთრება.

21.2 ოპერატორები შეთანხმდებიან პირობებზე რომელიც დაკავშირებულია ინტელექტუალურ ქონებასთან (მათ შორის სახელზე), რომელიც შეიქმნა ერთობლივად ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში ან სხვაგვარად არის დაკავშირებული წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“.

21.3 თუ ინტელექტუალური ქონება შექმნილია წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესრულებისას, მაშინ „მხარეებს“ შორის რაიმე სხვა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ინტელექტუალური ქონების საკუთრება რჩება იმ „მხარეს“, რომელმაც შექმნა ის. თითოეული ოპერატორი იყენებს მესამე პირების ინტელექტუალურ საკუთრებას (რომლის ლიცენზიაც მოპოვებული აქვთ), რომელიც აუცილებელია წინამდებარე

ხელშეკრულების მიმდინარე ფუნქციონირებისთვის და ოპერატორების ქსელების თავსებადობისთვის.

21.4 „ოპერატორები“ თანხმდებიან, რომ მათთვის მინიჭებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები გამოყენებული იქნება მხოლოდ წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის და წყდება ამ „ხელშეკრულების“ შეწყვეტისთანავე, თუ სხვაგვარად არ არის წერილობითი შეთანხმებული.

21.5 „დაშვების მსურველი“ აუნაზღაურებს „მაგთიკომს“ ზიანს და ხარჯს, რომელიც „მაგთიკომს“ მიადგება ან მის მიერ გაწეულ იქნება და დაკავშირებული იქნება ნებისმიერ სარჩელთან, ქმედებასთან ან მოთხოვნასთან და გამომდინარეობს „დაშვების მსურველის“ მხრიდან მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევით.

21.6 ოპერატორმა შესაბამისი ნებართვის არსებობისას, უნდა გამოიყენოს ინტელექტუალური საკუთრება და სხვა ოპერატორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ მოთხოვნილ ობიექტებზე და/ან მომსახურებებზე წვდომის მიწოდების ან წვდომის მიზნებისათვის. ოპერატორმა არ უნდა გამოიყენოს ინტელექტუალური საკუთრება ან ინფორმაცია სხვა საკომუნიკაციო სერვისების ან აღჭურვილობის განვითარების ან მარკეტინგისთვის, ან საკუთარი სტრუქტურული ერთეულის, შვილობილ კომპანიებში, სხვა პარტნიორ/აფილირებულ კომპანიებში, რომლებშიც მას აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი წილი, სახელშეკრულებო ან სხვა ინტერესი, ან მესამე პირებისთვის.

22 დავების გადაწყვეტა

22.1 მხარეები შეთანხმდებიან დავის გადაწყვეტის პროცედურაზე.

22.2 თუ მხარეები სხვა წესსზე არ შეთანხმდებიან, სადაო საკითხის არსებობის შემთხვევაში, „მხარემ“ წერილობით ან ელ. ფოსტის საშუალებით უნდა მიმართოს მეორე „მხარეს“ მოთხოვნით და შესაბამისი არგუმენტაციით. რა შემთხვევაში, „მხარეები“ შეეცდებიან ასეთი მიმართვიდან 30 დღის განმავლობაში განიხილონ მოთხოვნა და სადაო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის მიზნით.

22.3 შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში „მხარეს“ უფლება აქვს სადაო საკითხი განსახილველად მიმართოს „კომისიას“ (მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე) ან სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენს დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს).

23 განხილვა

23.1 ორივე მხარეს აქვს უფლება რომ მოითხოვოს „ხელშეკრულების“ შეცვლა ან მოდიფიცირება, მოთხოვნის გაგზავნით შემდეგ შემთხვევებში:

(a) რომელიმე მხარის უფლებამოსილება სატელეკომუნიკაციო სერვისების მიწოდებაზე არსებითად შეცვლილია წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით (შესწორებით თუ ჩანაცვლებით); ან

(b) ხდება ცვლილება კანონში ან რეგულაციაში, რომელიც არეგულირებს ან ეხება საქართველოს სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, რომელიც არსებითია წინამდებარე ხელშეკრულებისთვის; ან

(c) წინამდებარე „ხელშეკრულება“ პირდაპირ ითვალისწინებს გადახედვა, ან „მხარეები“ წერილობით თანხმდებიან, რომ განხილვა მოხდება; ან

(d) ხდება მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ან მოსალოდნელია გავლენის მოხდენა ამ შეთანხმების კომერციულ ან ტექნიკურ საფუძვლებზე; ან

(e) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები ენიჭება ან გადაცემულია ერთ-ერთი მხარის მიერ.

23.2 განხილვის შეტყობინება გონივრულად დეტალურად უნდა აყალიბებდეს განსახილველ საკითხებს და ასეთი განხილვის საფუძველს ამ „ხელშეკრულების“ შესაბამისად.

23.3 განხილვის შეტყობინების მიღებიდან თხუთმეტი (15) სამუშაო დღის განმავლობაში, „მაგთიკომსა“ და „დაშვების მსურველის“ დანიშნული წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება, შეიკრიბებიან და კეთილსინდისიერ მოლაპარაკებას მოახდენენ აღნიშნული ხელშეკრულების გადასაწყვეტ საკითხებზე შესაბამისი ცვლილებების ან შესწორებების შეთანხმების მიზნით.

23.4 გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, „მაგთიკომი“ და „დაშვების მსურველი“ თანხმდებიან, რომ განხილვის შეტყობინების მიუხედავად, წინამდებარე „ხელშეკრულება“ დარჩება ძალაში.

23.5 თუ რომელიმე განხილვის შეტყობინების საკითხზე მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, გამოყენებული იქნება დავების გადაწყვეტის პროცედურის დებულებები.

23.6 თუ მხარეთა შორის მოხდება შეთანხმება ხელშეკრულების ცვლილებაზე ან მოდიფიცირებაზე, იმის მიხედვით, რაც შეთანხმებულია მხარეები გააფორმებენ შესაბამის შეთანხმებას.

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმა

23.7 ამ მუხლში აღწერილი პირობების მიუხედავად, „მაგთიკომის“ მხრიდან „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი საფასურის ცვლილებისას გამოიყენება ამ 23.7 პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

(a) „მაგთიკომს“ უფლება აქვს გადახედოს და ცალმხრივად შეცვალოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი საფასური ამ მუხლით დადგენილი წესით;

(b) ცვლილებები ძალაში შევა „დაშვების მსრუველის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 60 დღის შემდეგ.

(c) მომსახურების საფასურის გადახედვის საფუძველი შესაძლოა იყოს მაგ. საკომუნიკაციო ბაზარზე ტარიფების ცვლილება, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება, ინფლაცია, გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოდელით ახალი ტარიფების მიღება, „კომისიის“ ან სასამართლოს გადაწყვეტილება და სხვა ობიექტური გარემოებები.

(d) იმ შემთხვევაში, თუ „დაშვების მსურველი“ არ ეთანხმება შეტყობინებაში მითითებულ ცვლილებებს, იგი ამის შესახებ აცნობებს „მაგთიკომს“ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

(e) თუ „მხარეები“ ვერ მიაღწევენ შეთანხმებას საფასურის ცვლილებაზე, ჩაითვლება „დაშვების მსურველის“ მხრიდან „ხელშეკრულების“ შეწყვეტის ნების გამოვლენად და ნებისმიერ „მხარეს“ უფლება დაიწყოს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა.

(f) იმ შემთხვევაში, თუ „დაშვების მსურველი“ დროულად ვერ უზრუნველყოფს „მაგთიკომისთვის“ საპასუხო შეტყობინების მიწოდებას, ეს შემთხვევა მიჩნეული იქნება „დაშვების მსურველის“ მხრიდან თანხმობად „ხელშეკრულების“ შეცვლილი საფასურით გაგრძელებაზე და საფასურის შეიცვლება „მაგთიკომის“ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.

23.8 ამ მუხლში აღწერილი პირობების მიუხედავად, „მაგთიკომის“ მხრიდან „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის, გარდა საფასურის ცვლილებისა, გამოიყენება ამ 23.8 პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

(a) „მაგთიკომს“ უფლება აქვს გადახედოს და ცალმხრივად შეცვალოს „ხელშეკრულების“ პირობები ამ 23.8 პუნქტით დადგენილი წესით;

(b) ცვლილების განხორციელების შესახებ „მაგთიკომი“ წერილობით შეატყობინებს „დაშვების მსურველს“.

(c) იმ შემთხვევაში, თუ „დაშვების მსურველი“ არ ეთანხმება ცვლილებას, წერილობით უნდა აცნობოს „მაგთიკომს“ ცვლილების თაობაზე

შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში, „მხარეები“ შემდგომი 25 დღის განმავლობაში შეეცდებიან შეთანხმება მიაღწიონ ცვლილების განხორციელებაზე.

(d) შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში, „მაგთიკომის“ მიერ შეთავაზებული ცვლილებები ძალაში 23.8(c) პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 31-ე დღეს.

(e) თუ „დაშვების მსურველს“ არ სურს შეცვლილი პირობებით „ხელშეკრულების“ გაგრძელება, ჩაითვლება „დაშვების მსურველის“ მხრიდან „ხელშეკრულების“ შეწყვეტის ნების გამოვლენად და ნებისმიერ „მხარეს“ უფლება დაიწყოს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა.

(f) იმ შემთხვევაში, თუ 23.8(c) პუნქტით დადგენილ ვადაში „დაშვების მსურველი“ წერილობით არ შეატყობინებს „მაგთიკომს“ პოზიციას შემოთავაზებულ ცვლილებასთან დაკავშირებით, ეს შემთხვევა მიჩნეული იქნება „დაშვების მსურველის“ მხრიდან თანხმობად „ხელშეკრულების“ შეცვლილი პირობებით გაგრძელებაზე. ასეთ შემთხვევაში, პირობები შეცვლილად ჩაითვლება „მაგთიკომის“ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.

23.9 ამ მუხლში აღწერილი პირობების მიუხედავად, „მაგთიკომის“ მხრიდან „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის ცვლილება ხორციელდება „ოფერტაში“ შესული ცვლილების გამო, გამოიყენება ამ 23.9 პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

(a) „მაგთიკომი“ ოფერტაში ცვლილებას ათანხმებს „კომისიასთან“ და განახლებული „ოფერტის“ გამოქვეყნების შემთხვევაში, აცნობებს „დაშვების მსურველს“ განხორციელებული ცვლილების თაობაზე;

(b) „ხელშეკრულებაში“ ცვლილება განხორციელებულად ჩაითვლება „მაგთიკომის“ მიერ „დაშვების მსურველისთვის“ შეტყობინების გაგზავნიდან 31-ე დღეს;

(c) თუ „დაშვების მსურველი“ არ ეთანხმება ცვლილებებს, უფლება აქვს დაიწყოს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა.

23.10 ამ 23-ე მუხლშ აღნიშნულისა, თუ ნებისმიერი საანგარიშსწორებო პერიოდის (საარიშსწორებო თვის) ბოლოს ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლართან მიმართებაში დადგენილი გაცვლითი კურსის საშუალო მაჩვენებელი აღემატება „ხელშეკრულების“ დადების მომენტში არსებულ კურსს 5%-ით ან მეტით, ასეთ შემთხვევაში შპს „მაგთიკომის“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი ტარიფი შეიცვლება ავტომატურად, შესაბამისი პროპორციით. აღნიშნული პირობის

ამოქმედებისას საბითუმო ტარიფების ზრდა შესაბამისობაში იქნება ე.წ. „შეკუმშვის ტესტის“ მეთოდოლოგიასთან.

23.11 თუ „ოფერტის“ ძალაში შესვლის დღისთვის „დაშვების მსურველი“ სარგებლობს „ოფერტით“ გათვალისწინებული რომელიმე მომსახურებით, „მაგთიკომის“ მოთხოვნიდან 30 დღის ან მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების განახლება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „ოფერტით“ გათვალისწინებულ პირობებს.

24 ფორს-მაჟორი

24.1 არც ერთი „მხარე“ არ იქნება პასუხისმგებელი მეორეს წინაშე წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული რაიმე ვალდებულების შეფერხებაზე ან შეუსრულებლობაზე, იმდენად, რამდენადაც ასეთი ვალდებულების შესრულებას ხელს უშლის ფორს-მაჟორული გარემოება.

24.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ გარემოებას ან მოვლენას, რომელიც არის რომელიმე მხარის გონივრული კონტროლს მიღმა, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ბუნებრივი კატაკლიზმებით, სტიქიური მოვლენებით, ომის ან სამხედრო ოპერაციების, აჯანყების ან სამოქალაქო არეულობის, ეროვნული ან ადგილობრივი საგანგებო სიტუაციების, გარე მტრების მოქმედებების, რეკვიზიციის ან ემბარგოს, არეულობების ჩათვლით. არეულობა, ხანძარი, ელვა, აფეთქება, წყალდიდობა, მიწისძვრა, განსაკუთრებული სიმძიმის ამინდი ან მთავრობის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მოქმედებები ან უმოქმედობები, ნებისმიერი მთავრობის ან სამთავრობო უწყების რეგულაციები ან მოთხოვნები, ნებისმიერი სახის საწარმოო დავა (მიუხედავად იმისა ჩართული არიან თუ არა „მაგთიკომის“ ან „დაშვების მსურველის“ თანამშრომლები).

24.3 მხარე, რომლისთვისაც დადგება ფორს-მაჟორული მოვლენა, უნდა აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული მოვლენის შესახებ, როგორც კი ეს გონივრულად შესაძლებელია. მხარე, რომლისთვისაც თავდაპირველად დადგება ფორს-მაჟორული მოვლენა, შემდგომში მიაწვდის შეტყობინებას მისი ვალდებულებების შესრულების ან შეფერხების სავარაუდო მასშტაბისა და ხანგრძლივობის შესახებ („ფორს-მაჟორული შეტყობინება“).

24.4 ფორს-მაჟორის გარემოების გავლენის შეწყვეტის შემდეგ, მხარე, რომელსაც თავდაპირველად დაუდგა ფორს-მაჟორული მოვლენა, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორეს ასეთი მოვლენის დამთავრების შესახებ.

24.5 თუ ფორს-მაჟორის შედეგად მხარეს ხელი ეშლება ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ეს მხარე, შეასრულებს მის დარჩენილ ვალდებულებებს, რომლებზეც არ მოქმედებს ფორსმაჟორი.

24.6 რამდენადაც რომელიმე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოება ხელს უშლის ამ შეთანხმების ფარგლებში უზრუნველყოფილი ყველა სერვისის მიწოდებაში, მეორე მხარე თანაბარი ზომით თავისუფლდება ამ მომსახურების საფასურის გადახდის ან მათთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება.

24.7 ფორს-მაჟორული შეტყობინებების შემდეგ და თუ ასეთი ფორს-მაჟორის ეფექტი გრძელდება:

(a) უწყვეტი პერიოდით არაუმეტეს ორი (2) კალენდარული თვისა ფორს-მაჟორული შეტყობინების თარიღიდან (მიუხედავად იმისა, გაგზავნილია თუ არა შეტყობინება შეწყვეტის შესახებ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად) ნებისმიერი ვალდებულება შესრულდება თავდაპირველად ფორს-მაჟრული გარემოებით დაზარალებული მხარის მიერ, რაც შეიძლება სწრაფად ფორს-მაჟორის ეფექტის დასრულების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შესრულება აღარ არის შესაძლებელი ან არ არის საჭირო/არ არის მოთხოვნილი მეორე მხარის მიერ.

(b) უწყვეტი პერიოდით არაუმეტეს ორი (2) კალენდარული თვისა ფორს-მაჟორული შეტყობინების თარიღიდან (მიუხედავად იმისა, გაგზავნილია თუ არა შეტყობინება შეწყვეტის შესახებ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად), ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება (მაგრამ არა ვალდებული) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება არანაკლებ ოცდაათი (30) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით მეორე მხარისთვის, იმ პირობით, რომ ასეთი შეტყობინება ჩაითვლება წარუმატებლად (არ ჩაითვლება გაგზავნილად), თუ მხარე მიიღებს შეტყობინებას ამ შეწყვეტის შესახებ. ფორს-მაჟორული შეტყობინების მიღება ოცდაათი (30) სამუშაო დღის გაფრთხილების გასვლამდე. თუ ეს „ხელშეკრულება“ არ წყდება ამ „ხელშეკრულების“ დებულებების შესაბამისად, ნებისმიერ ვალდებულებას შეასრულებს მხარე, რომელსაც თავდაპირველად შეეხო ფორს-მაჟორი, რაც შეიძლება სწრაფად, ფორს-მაჟორის ეფექტის დასრულების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შესრულება აღარ არის შესაძლებელი ან არ არის საჭირო/არ არის მოთხოვნილი მეორე მხარის მიერ.

25 გარანტიები

25.1 გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული ამ „ხელშეკრულებაში“, ყველა წარმოდგენა, პირობა და გარანტია (გამოხატული თუ ნაგულისხმევი, კანონიერი თუ სხვაგვარი), მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება რაიმე ნაგულისხმევი გარანტიით ვაჭრობის

შესახებ, გარანტიით ვარგისიანობაზე კონკრეტული მიზნისთვის, ნაგულისხმევი გარანტიის დარღვევა და გარანტია, რომელიც წარმოიქმნება გარიგების, ჩვეულების ან ვაჭრობისას, რომელიმე ოპერატორის მიერ მოწოდებულ ნებისმიერ სერვისთან დაკავშირებით, ცალსახად გამორიცხულია „ხელშეკრულების“ მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარანტიები არის თითოეული „ოპერატორის“ მიერ გაცემული ერთადერთი გარანტიები.

25.2 იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული, „მაგთიკომი“ არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი „დაშვების მსურველის“ წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

25.3 თითოეული მხარე იძლევა გარანტიას, იმის თაობაზე რომ „დაწყების თარიღიდან“ და ვადის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი:

(a) <u>სტატუსი</u> - „ოპერატორი“ იმოქმედებს სათანადო ორგანიზაციული ფორმით, მოქმედი სტატუსით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

(b) <u>უფლებამოსილება</u> - ექნება აქვს ყველა საჭირო კორპორატიული ძალაუფლება და უფლებამოსილება, რომ ფლობდეს და მართოს თავისი აქტივები და განახორციელოს თავისი საქმიანობა ისე, როგორც ამჟამად წარიმართება და როგორც ეს წარიმართება ამ შეთანხმების

(c) <u>ძალაუფლება</u> - ექნება ყველა საჭირო კორპორატიული უფლებამოსილება და ძალაუფლება რომ დადოს ეს „ხელშეკრულება“ და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ამ „ხელშეკრულების“ შესრულება და მიწოდება გათვალისწინებული ტრანზაქციების შესრულება სათანადოდ არის იქნება ავტორიზებული ყველა საჭირო კორპორატიული ქმედებებით; და

(d) <u>მოქმედების ვადა</u> - ეს შეთანხმება წარმოადგენს თითოეული მხარის იურიდიულ, მოქმედ ვალდებულებას, რომელიც აღსრულდება მის წინააღმდეგ მისი პირობების შესაბამისად.

25.4 „მხარეები“ აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

(a) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აქვთ სრული უფლებამოსილება გააფორმონ „ხელშეკრულება“ ამავე „ხელშეკრულებაში“ მოცემული პირობების გათვალისწინებით;

(b) წარმოადგენენ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ავტორიზებულ პირებს;

(c) გარდა „ხელშეკრულებაში“ მითითებულისა, არ არსებობს დაბრკოლებები „ხელშეკრულების“ გასაფორმებლად;

(d) არიან ქმედუნარიანნი;

(e) მათთვის ცნობილია, რომ ყალბი/არასწორი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება „კანონმდებლობის“ შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას, და შესაძლოა გამოიწვიოს „ხელშეკრულების“ ცალმხრივად შეწყვეტა და შესაბამისი პასუხისმგებლობა;

(f) დაიცვან ერთმანეთი ყოველგვარი დანაკარგისგან, სარჩელისაგან, სანქციისაგან, მოთხოვნისაგან, ვალდებულებისაგან, ზიანისაგან და ხარჯებისაგან, რომლებიც დაკავშირებული იქნება „მხარის“ მიერ გაცემული გარანტიების დარღვევასთან ან/და მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ან/და მათ არაჯეროვან შესრულებასთან;

(g) შესაბამისობაში იქნებიან და დაიცავენ საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „ელექტრონული კომუნიკაციების“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ „ინფორმაციული უსაფრთხოების“, „შრომის უსაფრთხოების“ კანონებით, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ კანონქვემდებარე აქტებით გათვალიწინებულ ვალდებულებებს.

25.5 „დაშვების მსურველი“ ადასტურებს რომ:

(a) გაცნობილია „ოფერტას“ და კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა/შეასრულებს მის პირობებს;

(b) მოქმედებს კეთილსინდისიერი განზრახვით და მისი მიზანია საკუთარი „ბოლო მომხმარებლების“ საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება;

(c) მოთხოვნილი მომსახურების მისაღებად ფლობს ყველა აუცილებელ რესურსს, მათ შორის, შესაბამის ინფრასტრუქტურას;

(d) აქვს შესაძლებლობა შეასრულოს „ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებები და რომ მის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული წარმოება, იძულებითი აღსრულება, ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს საჩივარი, სარჩელი ან სხვაგვარი მოთხოვნა, გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოება ან სხვა სახის პროცედურა, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

(e) „ხელშეკრულების“ მოლაპარაკების პროცესში წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია/განმარტება არის ზუსტი, ნამდვილი და უტყუარი;

(f) არის სათანადოდ კვალიფიცირებული, ჰყავს შესაბამისი კვალიფიციური კადრები, რომ დაგეგმოს და აწარმოოს საკომუნიკაციო ბიზნესი და შეასრულოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები;

(g) „კომისიის“ წევრი ან მისი ოჯახის წევრი არ წარმოადგენს „დაშვების მსურველის“ ან მისი „აფილირებული პირის“ წილის ან აქციის მფლობელს ან არ არის „დაშვების მსურველის“ ან მისი „აფილირებული პირის“ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირი, ისევე როგორც „დაშვების მსურველი“ ან მისი „აფილირებული პირი“ არ იმყოფება „კომისიის“ წევრის ან მისი ოჯახის წევრის „კონტროლის“ ქვეშ;

(h) ფლობს ყველა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფას, რაც საჭიროა საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ფროდი აღმოსაჩენად;

(i) მის მიერ გამოყენებული აპარატურა არის სტანდარტების შესაბამისი და ფლობს ყველა ლიცენზიას მიერ გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე/აპლიკაციაზე;

(j) „ხელშეკრულების“ პირობებზე შეთანხმება განხორციელდა მისი შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

25.6 „მხარეები“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებენ ერთმანეთს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მათ აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება მათ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

25.7 „მხარეები“ აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ ისინი მხოლოდ ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებენ/დადებენ და შეასრულებენ „ხელშეკრულებას“ და „მხარეები“ პასუხისმგებელნი არიან მათ ყველა განცხადებასა და გარანტიის უტყუარობაზე.

26 პასუხისმგებლობა

26.1 კანონით ნებადართული ზომით, არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორე მხარის წინაშე, გარდა ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

26.2 თითოეული მხარე გამოიყენებს სატელეკომუნიკაციო ოპერატორის გონივრულ უნარს და იზრუნებს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას.

26.3 ხელშეკრულების 26-ე მუხლის მიუხედავად, არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორე მხარის წინაშე სხვა მხარის მიერ ამ „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული გამოწვეული რაიმე სახის ზარალისთვის.

26.4 წინამდებარე „ხელშკრულებაში“ რაიმე საპირისპიროს მიუხედავად, არცერთი მხარე არ გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას:

(a) სიკვდილის ან პერსონალური დაზიანებისას, რომელიც გამოწვეულია საკუთარი დაუდევრობით ან მისი თანამშრომლების, წარმომადგენლების ან ქვეკონტრაქტორების დაუდევრობით, როდესაც მოქმედებდნენ როგორც „მხარის“ დასაქმებულები, წარმომადგენლები ან კონტრაქტორები;

(b) ნებისმიერი სხვა პასუხისმგებლობა, რომელიც არ შეიძლება გამოირიცხოს კანონით.

26.5 ერთი „მხარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რაც გამოწვეული იქნება მისი ბრალეული ქმედებით (მოქმედება ან უმოქმედობა), ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ „ხელშეკრულების“ სხვა მუხლებიდან სხვა რამე არ გამომდინარეობს. „ხელშეკრულების“ მონაწილე „მხარე“ ვალდებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ ზიანი, რომელიც გამოწვეულია „მხარის“ წარმომადგენლის ან იმ პირის ქმედებით, რომელიც მან ჩართო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. ზიანი უნდა ანაზღაურდეს ისეთივე მოცულობით, როგორც საკუთარი ქმედების დროს.

26.6 მხარის პასუხისმგებლობა მეორე მხარის მიმართ, რომელიც გამომდინარეობს ამ „ხელშეკრულებიდან“ ან მასთან არის დაკავშირებული (მათ შორის, პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით ან კანონისმიერი ვალდებულების დარღვევისთვის) პროპორციულად მცირდება იმდენად, რამდენადაც:

(a) მეორე მხარეს არ გადაუდგამს ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა მინიმუმამდე დაეყვანა საკუთარი დანაკარგი, ზიანი ან მისი ქმედებით ან უმოქმედობით ასეთი ზარალი, ზიანი ან პასუხისმგებლობა;

(b) პასუხისმგებლობა გამოიწვია ან წვლილი შეიტანა საკუთარი ქმედებით;

26.7 არცერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი მეორე მხარის წინაშე რაიმე დანაკარგზე ან ზარალზე, რომელიც წარმოიქმნება ან დაკავშირებულია ამ „ხელშეკრულებასთან“, თუ მხარემ მოითხოვა ან ეცადა იგივე დანაკარგის ან ზიანის ანაზღაურება მხარეთა შორის მოქმედ სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებიდან.

26.8 არცერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი მეორე მხარის წინაშე მესამე მხარის მიერ, მეორე მხარის წინააღმდეგ წამოყენებულ ან წარდგენილ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელსაც მეორე მხარე უზრუნველყოფს სატელეკომუნიკაციო მომსახურებას კონტრაქტით (ან სხვაგვარად).

26.9 „მაგთიკომი“ არც ერთ შემთხვევაში არ იქნება არის პასუხისმგებელი „დაშვების მსურველის“ „ბოლო მომხმარებლის“ წინაშე, მათ შორის, „დაშვების მსურველის“ მიერ მიწოდებული სერვისისთვის, ასევე ნებისმიერი კონტენტისთვის, რომელზედაც „ბოლო მომხმარებლებს“ შეუძლიათ წვდომა.

26.10 „დაშვების მსურველის“ მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების ან „ხელშეკრულების“ პირობების დარღვევის გამო „მაგთიკომისთვის“ ფულადი სანქციის დაკისრების შემთხვევაში, „დაშვების მსურველი“ ვალდებული იქნება სრულად აუნაზღაუროს „მაგთიკომს“ სანქციით/ჯარიმით გათვალისწინებული თანხა.

26.11 „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი ფულადი ვალდებულების დაგვიანების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია დააკისროს „დაშვების მსურველს“ პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 1%-ს ოდენობით, ყოველ დაგვიანებულ დღეზე.

26.12 „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირგასამტეხლოს/სანქცია დაკისრება წარმოადგენს „მხარის“ უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს/სანქციის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა „მხარის“ მიერ მეორე „მხარისთვის“ წერილობითი მოთხოვნის წარდგენის დღიდან, ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება ანგარიშსწორების ვადის გადაცილების დღიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის წარდგენის თარიღისა.

26.13 თითოეული „მხარე“ უფლებამოსილია, „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება/სანქცია/პირგასამტეხლო თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივად. ამასთან, „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან თავად (ერთპიროვნულად) განსაზღვრონ „ხელშეკრულების“ საფუძველზე მიღებული „მომსახურების“ საფასურის/სანქციის/პირგასამტეხლოს დაფარვის რიგითობა.

26.14 როდესაც „მაგთიკომი“ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით შეაჩერებს ან შეწყვეტს მომსახურებას/წვდომას, „დაშვების მსურველი“ იქნება

პასუხისმგებელი საკუთარი „ბოლო მომხმარებლების“ წინაშე, მიწოდებული სერვისის გაუარესებაზე ან შეწყვეტაზე.

27 ზიანის ანაზღაურების გარანტიები

27.1 თითოეული მხარე („მოვალე მხარე“) აუნაზღაურებს მეორე მხარეს („კრედიტორი მხარე“) ზიანს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ „ხელშეკრულებით“ დადგნილი გამონაკლისების და შეზღუდვების გათვალისწინებით.

27.2 „მოვალე მხარე“ არ არის პასუხისმგებელი „კრედიტორი“ მხარის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საგანზე გამომდინარეობს „კრედიტორი მხარის“ ან მისი დასაქმებულის, წარმომადგენლის, კონტრაქტორის ან აგენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების უხეში დაუდევრობით ან განზრახი ან გაუფრთხილებელი დარღვევიდან.

27.3 ამ 27-ე მუხლის შესაბამისად, „მოვალე მხარის“ ვალდებულება, აუნაზღაუროს ზიანი „კრედიტორ მხარეს“, მცირდება:

(a) იმ მოცულობით, რა მოცულობითაც პასუხისმგებლობა ანაზღაურების მოთხოვნის საგანზე გამომდინარეობს „კრედიტორი მხარის“ ან მისი დირექტორების, პერსონალის, კონტრაქტორების ან წარმომადგენლების მოქმედებით ან უმექმედობით;

(b) პროპორციულად იმ ფარგლებისა, რა ფარგლებშიც ზიანის მოთხოვნა გამომდინარეობს „კრედიტორი მხარის“ ან მისი დირექტორების, პერსონალის, კონტრაქტორების ან წარმომადგენლების მოქმედებისა ან უმექმედობიდან.

27.4 ამ 27-ე პუნქტის შესაბამისად, „მოვალე მხარის“ ვალდებულება, აუნაზღაუროს ზიანი „კრედიტორ მხარეს“, დამოკიდებულია შემდეგ პირობებზე:

(a) „კრედიტორმა მხარემ“ უნდა მიიღოს გონივრული ზომები ნებისმიერი მიღებული დანაკარგისა და გამოწვეული ზიანის შესამცირებლად და შესამსუბუქებლად.

(b) „კრედიტორმა მხარემ“:

(i) გონივრულ ვადაში, წერილობით უნდა შეატყობინოს „მოვალე მხარეს, როდესაც ის შეიტყობს ან მისთვის ცნობილი გახდება დანაკარგი“, ღირებულება, სარჩელი, ზიანი, ხარჯები, პასუხისმგებობა, სამართალწარმოება ან მოთხოვნა („მოთხოვნა“); და

(ii) უნდა მისცეს „მოვალე მხარეს“ გონივრული შესაძლებლობა გამოასწოროს ის მიზეზი, რამაც მოთხოვნა წარმოშვა; და

(iii) უნდა დაეხმაროს და უზრუნველყოს მოვალე მხარე (მოვალე მხარის ხარჯებით) ინფორმაციითა და უფლებამოსილებით, რაც გონივრულად აუცილებელია „მოვალე მხარისათვის“ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებების შესასრულებლად (იმ პირობით, რომ არცერთ შემთხვევაში „კრედიტორ მხარეს“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა).

27.5 კანონით ნებადართული ზომით, „მაგთიკომის“ პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ მიწოდებით და მისი არ ან არაჯეროვნად მიწოდების შემთხვევაში „დაშვების მსურველის“ წინაშე შემოიფარგლება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული კომპენსაციით. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, „მაგთიკომი“ არ იქნება ვალდებული აანაზღაუროს რაიმე სახის ზიანი „დაშვების მსურველს“, გარდა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული კომპენსაციისა („ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ოდნეობით), რომელიც ვრცელდება მომსახურების არ ან არაჯეროვნად მიწოდების შემთხვევებზე.

28 დაზღვევა

28.1 „დაშვების მსურველს“ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში აქტიური უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დაზღვევა.

28.2 „მაგთიკომის“ მოთხოვნის მიღებისთანავე, „დაშვების მსურველი“ ვალდებულია გონივრულ ვადაში, წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ შეასრულა და/ან აგრძელებს ვალდებულებების შესრულებას 28.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

29 გადაცემა და ჩანაცვლება

29.1 „დაშვების მსურველს“ არ აქვს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული უფლების ან ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ გადაცემის ან ჩანაცვლების უფლება, „მაგთიკომის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

30 ქვეკონტრაქტორების გამოყენება

30.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მისი უფლებების გამოყენება ან ვალდებულებების შესრულება გადასცეს ქვეკონტრაქტორებს, გარდა 30-ე მუხლით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა.

30.2 თუ მხარე ქვეკონტრაქტორს ავალებს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შესრულებას, მაშინ ამ მხარემ უნდა:

(a) უზრუნველყოს, რომ ქვეკონტრაქტორი აკმაყოფილებს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ყველა რელევანტურ წესსა და პირობას; და

(b) დარჩეს პირველადი პასუხისმგებელი და ვალდებული მეორე მხარის მიმართ:

(i) ქვეკონტრაქტორის ყველა ქმედებასა და უმოქმედობაზე;

(ii) ასევე ვალდებულებების შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულებები შესაძლოა გადაცემული იყოს ქვეკონტრაქტორზე.

31 შეტყობინებები

31.1 შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ:

(a) ის მიწოდებულია ფოსტით ან კურიერის მეშვეობით „მაგთიკომის“ ან „დაშვების მსურველის“ მიერ მითითებული წარმომადგენლისთვის (ან ნებისმიერი სხვა პირისთვის, რომელიც გამოყოფილია მხარის მიერ), მიმღები მხარის მისამართზე და ჩაბარების მომენტში დასტურდება ქვითარზე (მიღება-ჩაბარების აქტზე) ხელმოწერით; ან

(b) გაიგზავნა ელ. ფოსტით და მიღება დადასტურებულია ელ. ფოსტით.

32 მთლიანი ხელშეკრულება

32.1 ეს ხელშეკრულება მოიცავს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას და ანაცვლებს ნებისმიერ წინა ხელშეკრულებებს, ვალდებულებებს, შეთანხმებებს, ან სხვა შეხედულებებს, იქნება ეს ზეპირი თუ წერილობითი, ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით.

33 ძალაში დარჩენა და შერწყმა

33.1 მუხლები 9 (კონფიდენციალურობა და გამჟღავნება), 21 (ინტელექტუალური საკუთრების უფლებები), 25 (გარანტიები), 28 (დაზღვევა) და ეს 33-ე მუხლი რჩება ძალაში „ხელშეკრულების“ შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემთხვევაშიც, იმ სხვა პირობასთან ერთად, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა დარჩეს.

33.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ არც ერთი პირობა კარგავს ძალას რომელიმე პირობის მხარეთა მიერ შესრულებისას/გამოყენებისას.

34 ერთობლივი საწარმო

34.1 გარდა „ხელშეკრულებაში“ მკაფიოდ გათვალისწინებული „მომსახურების’ გაწევისა და სხვა პირობების შესრულებისა, ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების ფარგლებში, „მხარეებს“ არ აქვთ განზრახვა, წამოიწყონ ერთობლივი საქმიანობა და „ხელშეკრულებაში“ ისეთი არაფერია მოცემული, რაც აყალიბებს ურთიერთობას, პარტნიორობას, ან ნდობას მხარეებს შორის, ან აცხადებს ერთ მხარეს მეორის წარმომადგენლად, ან ერთ მხარეს აკისრებს მეორეს დამატებით ვალდებულებებს.

35 უარის თქმა

35.1 ამ „ხელშეკრულების“ რომელიმე პირობის დარღვევისას ან არაჯეროვნად შესრულებისას, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, არ უნდა იქნას აღქმული, როგორც სხვა ნებისმიერი პირობის შესრულების პასუხისმგებლობისგანაც გათავისუფლება.

35.2 ამ „ხელშეკრულებით“, უფლების ან გამოსწორების ერთჯერადი ან ნაწილობრივი გამოყენება არ გამორიცხავს ამ უფლების ან საშუალების შემდგომ გამოყენებას, ან სხვა უფლების ან საშუალების გამოყენებას.

35.3 ამ ხელშეკრულებით უფლების ან გამოსწორების გამოყენების წარუმატებლობა ან დაგვიანება არ ითვლება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებად და არ უშლის ხელს ამ უფლების ან სხვა უფლების ან საშუალების შემდგომ გამოყენებას.

36 თანხმობები და ნებართვები

36.1 გარდა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შემთხვევებისა, „მხარეს“ შეუძლია პირობითად ან უპირობოდ გასცეს ან არ გასცეს თანხმობა ან ნებართვა ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში, მაგრამ თანხმობის გაცემა ან უარი არ უნდა იყოს უმიზეზოდ გაჭიანურებული.

37 მესამე მხარეთა უფლებები

37.1 გარდა „ხელშეკრულებაში“ მკაფიოდ გათვალისწინებული შემთხვევისა, თითოეული მხარე, რომელიც ხელს აწერს ამ „ხელშეკრულებას“, მოქმედებს მხოლოდ თავისი სამართლებრივი სტატუსით და არა როგორც სხვა პირის წარმომადგენელი, რწმუნებული ან პარტნიორი, და მხოლოდ ხელმომწერი მხარეები სარგებლობენ მისით გათვალისწინებული უფლებით ან ბენეფიტებით.

38 ეგზემპლარები

38.1 ეს „ხელშეკრულება“ შეიძლება გაფორმდეს ნებისმიერი რაოდენობის ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული, ხელმოწერის შემდეგ, წარმოადგენს ორიგინალს. ეს ეგზემპლარები ერთობლივად ქმნიან ერთ ხელშეკრულებას. ერთი ეგზემპლარი გადაეცმა „კომისიას“.

39 პერსონალური მონაცემები

39.1 „დაშვების მსურველი“ აცნობიერებს, რომ თავად იქნება პასუხისმგებელი მის მიერ „ბოლო მომხმარებლები“ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვებაზე, დამუშავების ფარგლებზე, მიზნებზე, კანონიერებაზე და „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულებაზე.

39.2 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია შეიმუშაოს პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, გამოაქვეყნოს ვებგვერდზე, რომელსაც „დაშვების მსურველის“ „ბოლო მომხმარებელი“ უნდა დაეთანხმოს სერვისის მიწოდებაზე ხელშეკრულების გაფორმებისას.

39.3 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია წინასწარ მიიღოს თანხმობა საკუთარი „ბოლო მომხმარებლებისაგან“ მათი მონაცემების „მაგთიკომის“ მიერ დამუშავებაზე, როგორც ეს განმარტებულია „ხელშეკრულების“ დანართით („მონაცემთა დამუშავებაზე შეთანხმება“). ასეთი თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს „მომსახურების“ მიწოდება.

39.4 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია შეასრულოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მათ შორის, მხარეთა შორის გაფორმებული - „მონაცემთა დამუშავებაზე შეთანხმების“ პირობები.

39.5 „მაგთიკომი“ ვალდებულია „დაშვების მსურველის“ „ბოლო მომხმარებლების“ პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ

„ხელშეკრულებით“ და კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მიზნით და მის ფარგლებში.

39.6 „მაგთიკომი“ ვალდებულია გაანადგუროს „დაშვების მსურველის“ „ბოლო მომხმარებლების“ პერსონალური მონაცემები „კანონმდებლობით“ და მონაცემთა დამუშავების შეთანხმებით დადგენილ ვადაში.

39.7 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია განუმარტოს და თანხმობა მიიღოს, მისი წარმომადგენლებისაგან (დასაქმებულებისაგან, კონტრაქტორებისაგან), რომლებიც ჩართული იქნებიან „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში, „მაგთიკომის“ მიერ „ხელშეკრულების“ მიზნებიდან გამომდინარე მათი პერსონალური მონაცემების, მათ შორის ვიდეომონიტორინგის მონაცემების დამუშავებაზე (ინფრასტრუქტურასთან არსებული ვიდეომონიტორინგის ფარგლებში). დამუშავებული პერსონალური მონაცემები ინახება არაუმეტეს „ხელშეკრულების“ შეწყვეტიდან 3 წლის ვადით.

40 კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებები და საკანონმდელო მოთხოვნების შესრულება

40.1 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად იმოქმედოს ამ „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებულ ან მის ფარგლებში გათვალისწინებულ ყველა საკითხში, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ მოლაპარაკებების დროს.

40.2 „დაშვების მსურველი“, როგორც საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, საქმიანობს საკუთარი სახელით და მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი მის საქმიანობაზე და „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. „დაშვების მსურველი“ იქნება პასუხისმგებელი ნებისმისიერი საჯარო თუ კერძო პირის წინაშე საკუთარ ქმედებებზე და მისი საქმიანობის „კანონმდებლობასთან“ შესაბამისობაზე

40.3 „დაშვების მსურველი“, სატელეფონო მომსახურების მიწოდებისას, ვალდებულია შეასრულოს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, მათ შორის უზრუნველყოს საკუთარი „აბონენტებისგან“ 112-ს მომსახურების საფასურის დარიცხვა და ამოღება.

40.4 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია შეასრულოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

40.5 „დაშვების მსურველი“ ვალდებულია დაიცვას ელექტრონული კომუნიკაციის მაინტიფიცირებელი მონაცემების შენახვის და პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები.

40.6 „დაშვების მსურველი“ თავად იქნება პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყებების, მათ შორის სასამართლოს მხრიდან ინფორმაციის მიწოდებაზე თუ სხვა სახის ღონისძიების განხორციელებაზე

41 უფლებების კრებითობა

41.1 გარდა „ხელშეკრულებაში“ მკაფიოდ გათვალისწინებული შემთხვევისა, მხარის უფლებები ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში წარმოადგენს დამატებით უფლებებს და არ გამორიცხავს ან არ ზღუდავს სხვა უფლებებს ან საშუალებებს, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული.

42 ცვლილებები

42.1 გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა, რა დროს ცვლილება შეიძლება განხორციელდეს ცალმხრივად, ნებისმიერი დანართი, ცვლილება ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამის წერილობით დოკუმენტს ხელი მოეწერება თითოეული მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

43 ხელშეკრულების დებულებების ავტონომიურობა

43.1 ამ „ხელშეკრულების“ რომელიმე პუნქტის არავალიდურობა ან აღსრულების შეუძლებლობა ან კანონთან შეუსაბამობა არ იმოქმედებს სხვა პუნქტების ვალიდურობასა და აღსრულებაზე.

44 მარეგულირებელი სამართალი

44.1 ამ „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაცია, ვალიდურობა და აღსრულება ყველა მხრივ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

45 იურისდიქცია

45.1 თითოეული მხარე შეუქცევადად და უპირობოდ ემორჩილება მოქმედი საქართველოს საერთო სასამართლოების ექსკლუზიურ იურისდიქციას.